ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 112 (20453) — სამშაბათი, 16 მაისი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡᲗᲐᲜ

● **ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ** არნახული გვალვა მძვინვარებს, დიდი ზარალი მიადგა თავთავიან კულტურებს, ვენახებს, ხეხილის ბაღებს, ჭირს პირუტყვისათვის საკვების დამზადება, ეს კი სოფლის მშრომელთა საგანგებო მობილიზებას მოითხოვს („გვალვაა, გადავარჩინოთ მოსავალი“.).

მე-2 გვ.

● **ᲙᲕᲚᲐᲕ** შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია აჭარა. მართალია, იქ მდგომარეობა თანდათან სტაბილური ხდება, მაგრამ საშიშროება კვლავ არის, არ შეიძლება სიფხიზლის მოდუნება („აჭარა: იმედის ნათელი“).

● **ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ** რკინიგზის საგდგური მატარებლის ჩამოდგომამდე დიდი ხნით ადრე აივსო ხალხით, მთელ ქალაქში ისმოდა თითქმის 70 წლის წინ დადუმებული, მაგრამ დღეს კვლავ აღდგენილი ღვთისმშობლის ეკლესიის ზარების ხმა („კვლავ ახმიანდა ზარები“).

● **ᲔᲠᲗᲘ** კვირაა საქართველოში არიან დასავლეთგერმანელი ექიმები. მათ სურვილი გამოთქვეს, ენახათ და დახმარებოდნენ თბილისში 9 აპრილს და მომდევნო დღეებში ქიმიური ნივთიერებებით მოწამლულ ადამიანებს. მათ ჩამოიტანეს საჭირო მედიკამენტები („დასავლეთგერმანელი ექელმოქმედნი“).

მე-3 გვ.

● **ᲛᲬᲠᲝᲡᲗᲐᲜ** - [illegible] ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ [illegible] ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ [illegible] ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲑᲐᲣᲔᲠᲘᲡ [illegible] („ᲛᲝᲛᲐᲓᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲖᲛᲘ“).

● **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ** თუ სომხეთა ბედუკუღმართი ისტორია ერთნაირია, მწუხარებაც საერთო გვაქვს. („დატირება და თანადგომა“).

● **ᲝᲠᲨᲝᲡ** მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდნენ ჰელსინკიდან ჩვენი სახელოვანი ძიუდოისტები კობა კურტანიძე და ამირან ტოტიკაშვილი, ბრინჯაოს მედლით კი — გიორგი თენაძე („შთამბეჭდავად იასპარეზეს“).

მე-4 გვ.

მ. ს. გორბაჩოვი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა

14 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის იან შანკუნის მიწვევით ოფიციალურ ვიზიტად პეკინს გაემგზავრა.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად გაემგზავრნენ მოგზაურობაში მისი თანმხლები პირნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ე. ი. ჩაზოვი.

აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ვ. ი. ვოროტნიკოვმა, ლ. ნ. ზაიკოვმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, ვ. ა. მედვედევმა, ნ. ი. რიჟკოვმა, ვ. მ. ჩებრიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა ა. პ. ბირიუკოვმა, ა. ვ. ვლასოვმა, დ. ტ. იაზოვმა, ა. ი. ლუკიანოვმა, გ. პ. რაზუმოვსკიმ, ნ. ვ. ტალიზინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ო. დ. ბაკლანოვმა, სხვა ამხანაგებმა.

გამცილებელთა შორის იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჯან ჯენი.

იმავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი ჩამოხდა ირკუტსკში, სადაც სამუშაო შეხვედრა ჰქონდა.

(საკდისი).

აეროდრომზე გაცილებისას. — საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. 15 მაისი. (საკდესის სპეც კორ.) დღეს დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის იან შანკუნის მოწვევით.

ჩინეთის დედაქალაქში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ 1959 წლის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელის ამ პირველ ვიზიტს ჩინეთში. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჯაო ძიანმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის უმაღლესი დონის შეხვედრა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს. ამ შეხვედრის წარმატება, ხაზგასმით აღნიშნა მან, შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, ხელს უწყობს მშვიდობასა და სტაბილურობას მთელ მსოფლიოში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ოთხი დღის ყოფნის დროს გაიმართება მ. ს. გორბაჩოვისა და დენ სიაოპინის უმაღლესი დონის შეხვედრა, მოეწყობა მოლაპარაკება ჩინეთის სხვა ხელმძღვანელებთან, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი შეხვდება აგრეთვე ჩინეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, გაეცნობა კულტურულ-ისტორიულ ძეგლებს, ეწვევა ჩინეთის უდიდეს სამრეწველო ცენტრს შანჰაის.

მ. ს. გორბაჩოვისა და მისი თანმხლები პირების შეხვედრის საზეიმო ცერემონია გაიმართა ორი ქვეყნის სახელმწიფო დროშებით მორთულ დიდაქალაქის აეროდრომზე.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. დ. მასლიუკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა ა. პ. ბირიუკოვმა, ა. ვ. ვლასოვმა, დ. ტ. იაზოვმა, ა. ი. ლუკიანოვმა, გ. პ. რაზუმოვსკიმ, ნ. ვ. ტალიზინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ო. დ. ბაკლანოვმა, სხვა ამხანაგებმა.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საკითხთა კომისიის მიერ წარდგენილი ბარათი საინვენტაციო პოლიტიკის პრობლემების შესახებ. განხილვის დროს მწვავედ გააკრიტიკეს კაპიტალურ მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი, რაც გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო ეკონომიკურ შედეგებზე, მთელი რიგი სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე. მხარი დაუჭირა რა ცენტრალური კომიტეტის კომისიის დასკვნებს, პოლიტბიუროს ურჩია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინოს ისინი კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ზრდისა და საინვენტაციო სფეროში სამეურნეო მექანიზმის ძირეული გარდაქმნისათვის მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადების დროს.

განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამართლებრივი პოლიტიკის საკითხთა კომისიის მიერ შეტანილი ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო რეფორმის განხორციელებასთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მხარი დაუჭირა წინადადებას იმის შესახებ, რომ გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები ქვეყანაში სასამართლო ორგანოების საქმიანობის გარდაქმნის გატარების, მოსამართლეების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, სასამართლოს, როგორც მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტის დამკვიდრების, ქვეყანაში იურიდიული განათლების გარდაქმნის, მართლმსაჯულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება-განვითარების, სასამართლოების მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების მიზნით.

განიხილეს მ. ს. გორბაჩოვისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირში სამუშაო ვიზიტად მყოფი ვ. იარუზელსკის შეხვედრის შედეგები. აღინიშნა, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია ფართო ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელების, საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის, ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთგაგებისა და ურთიერთმოქმედების განმტკიცებას.

იდეოლოგიის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის დეკლარაციის რეალიზაციაში პრაქტიკული შედეგები პოზიტიურ გავლენას ახდენს ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებასა და დაახლოებაზე. შესახებ-მისი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წინაშე დასახული ამოცანა მიზნად ისახავს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი მოდელის შემუშავებას, უმაღლეს დონეზე მიღწეულ მორიგებათა პრაქტიკულ რეალიზაციას.

საერთაშორისო საკითხებზე აზრების გაზიარებამ დადასტურა, რომ მხარეების თვალსაზრისი მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებში, რაც ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

მოსახმინა რა ცნობა მ. ს. გორბაჩოვისა და ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნგუენ ვან ლინის შეხვედრის შედეგების შესახებ, პოლიტბიუროს გამოთქვა რწმენა იმისა, რომ გარდაქმნისა და განახლების პროცესების განვითარება სსრ კავშირსა და ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში ახალ თვისებას მიანიჭებს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობას, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის ეფექტიანობისა და ორმხრივი სარგებლობის ზრდას. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ვიეტნამის კომპარტია ერთნაირად უდგებიან საგარეო პოლიტიკის საკვანძო პრობლემებს, აზიაწყნარი ოკეანის რეგიონისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებს.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ეერიბა-განვითარების, სახამართლოების მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების მიზნით.

პოლიტბიუროს განიხილა და მოიწონა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ს. უნოსთან მ. ს. გორბაჩოვის საუბრისა და ე. ა. შევარდნაძის მოლაპარაკების შედეგები. კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ გამოცოცხლდა საბჭოთა კავშირ-იაპონიის პოლიტიკური დიალოგი. საერთოდ გაუმჯობესდა ორმხრივი ურთიერთობის ატმოსფერო, შეინიშნება თანამშრომლობის პრაქტიკულ დარგებში კავშირურთიერთობისა და კონტაქტების გარკვეული გაფართოება. ითქვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარის მისწრაფებას, გაუმჯობესონ შემდგომში ორმხრივი ურთიერთობა, რაც დაადასტურეს მოლაპარაკების დროს, აგრეთვე მორიგებას გააძლიერონ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ მიზნების მისაღწევად. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული განაგრძონ მუშაობა იაპონიაში მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტის მომზადებისათვის, რომელიც შეიძლება გაიმართოს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის საერთო გაუმჯობესების კონტექსტით, მოიწონეს მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ გაგრძელდეს იაპონიის მხარესთან იმ საკითხების განხილვა, რომლებიც ეხება სსრ კავშირისა და იაპონიის მშვიდობიანი ხელშეკრულების დადებას, მათ შორის მშვიდობიანი ხელშეკრულების მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

საქართველოს სსრ ეროვნულ-ტერიტორიული ოლქების სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ხელახალი არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების

ᲪᲜᲝᲑᲐ

№ 494 ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲚᲗᲐ სიებში შეყვანილი იყო 19.455 კაცი. მათგან კენჭისყრაში მონაწილეობდა 16.680, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 85,74 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს დურსუნ ჰუსეინის ძე დიასამიძეს ხმა მისცა 2.336 ამომრჩეველმა, ანუ 14 პროცენტმა; კანდიდატის წინააღმდეგ — 14.039 ამომრჩეველმა, ანუ 84,17 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს სეგერიანე მანსეს ძე სიხარულიძეს ხმა მისცა 1.938 ამომრჩეველმა, ანუ 11,62 პროცენტმა. კანდიდატის წინააღმდეგ მისცა ხმა 14.437 ამომრჩეველმა, ანუ 86,55 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს მანანა ვალოდიას ასულ ულრელიძეს ხმა მისცა 615 ამომრჩეველმა, ანუ 3,69 პროცენტმა. კანდიდატის წინააღმდეგ მისცა ხმა 15.760 ამომრჩეველმა, ანუ 94,48 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს ვახტანგ მამიას ძე შამილაძეს ხმა მისცა 11.348 ამომრჩეველმა, ანუ 68,03 პროცენტმა. კანდიდატის წინააღმდეგ მისცა ხმა 5.027 ამომრჩეველმა, ანუ 30,14 პროცენტმა.

ბათილად არის მიჩნეული 305 ბიულეტენი.

კენჭისყრის შედეგების საფუძველზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად არჩეულია ვახტანგ მამიას ძე **შამილაძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სკკპ წევრი, ქ. თბილისის მცხოვრები, რომელმაც არჩევნებში მიიღო კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი.

№ 500 ᲮᲣᲚᲝᲡ ᲝᲚᲥᲘ

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲚᲗᲐ სიებში შეყვანილი იყო 20.400 კაცი. მათგან კენჭისყრაში მონაწილეობდა 19.691 კაცი, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 96,52 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს ციალა ოთარის ასულ სურმანიძეს ხმა მისცა 15.652 ამომრჩეველმა, ანუ 79,49 პროცენტმა. კანდიდატის წინააღმდეგ მისცა ხმა 4.039 ამომრჩეველმა, ანუ 20,51 პროცენტმა.

კენჭისყრის შედეგების საფუძველზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად არჩეულია ციალა ოთარის ასული **სურმანიძე**, ხულოს რაიონის სოფელ სხალთის კოლმეურნეობის კოლმეურნე, ალკპ წევრი, ხულოს რაიონის მცხოვრები, რომელმაც არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი.

№ 502 ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲚᲗᲐ სიებში შეყვანილი იყო 13.655 კაცი, მათგან კენჭისყრაში მონაწილეობდა 13.585, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,49 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს ნანული ტარიელის ასულ ზოიძეს ხმა მისცა 12.886 ამომრჩეველმა, ანუ 94,85 პროცენტმა. კანდიდატის წინააღმდეგ მისცა ხმა 699 ამომრჩეველმა, ანუ 5,15 პროცენტმა.

კენჭისყრის შედეგების საფუძველზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად არჩეულია ნანული ტარიელის ასული **ზოიძე**, შუახევის რაიონის სოფელ ბრილის კოლმეურნეობის კოლმეურნე, ალკპ წევრი, შუახევის რაიონის მცხოვრები, რომელმაც არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი.

№ 789 ᲖᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲚᲗᲐ სიებში შეყვანილი იყო 7.013 კაცი, მათგან კენჭისყრაში მონაწილეობდა 6.743 კაცი, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 96,15 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს ლევ რაჟდენის ძე თედეევს ხმა მისცა 6.500 ამომრჩეველმა, ანუ 96,40 პროცენტმა. კანდიდატის წინააღმდეგ მისცა ხმა 243 ამომრჩეველმა ანუ 3,60 პროცენტმა.

კენჭისყრის შედეგების საფუძველზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად არჩეულია ლევ რაჟდენის ძე **თედეევი**, ზნაურის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის სარემონტო-საექსპლოატაციო საწარმოს მექანიზატორი, უპარტიო, ზნაურის რაიონის მცხოვრები, რომელმაც არჩევნებში მიიღო კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი.

მოვლენათა ქრონიკა

ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დარღვისა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა საქენერგოს კოლექტივს. რესპუბლიკასთვის მძიმე პერიოდში, როცა მისი მთელი რიგი რეგიონები სისტემატურად განიცდიდნენ სტიქიის შემოტევას, ქართველმა ენერგეტიკოსებმა შეძლეს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის შეუფერხებელი სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა.

მიღწეულია ენერგეტიკულ სიმძლავრეთა უფრო სრული გამოყენება, გაუმჯობესდა საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები. გაიზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება, გაუმჯობესდა ისეთი მნიშვნელოვანი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა ელექტროენერგიის წარმოებაზე პირობითი სათბობის ხვედრითი ხარჯი, ელექტროენერგიის ხარჯვა საკუთარი საჭიროებისათვის. მნიშვნელოვნად შემცირდა დანაკარგებიც. პირველი კვარტალის მანძილზე დაზოგილი ელექტროენერგია საკმარისია ოთხი დღის განმავლობაში რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

— გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს ენერგეტიკოსთა კოლექტივისათვის პირველი კვარტალი საკმაოდ დაძაბული იყო სომხეთის ატომური ელექტროსადგურის ენერგობლოკების გაჩერების გამო, — ᲐᲮᲜᲘᲨᲜᲐ საქმთავარენერგოს გენერალურმა დირექტორმა იური ᲗᲔᲓᲝᲘᲐᲛ. — იმ კოლექტივთა შორის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, არიან ენგურისა და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადების, თბილისის თბოქსელის, ცენტრალური და სენაკის ელექტროქსელების კოლექტივები. (საკინფორმი).

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲖᲔ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქარხანა „საქკაბელის“ შრომითი კოლექტივი თანდათან, ბეჯითი ორგანიზატორული საქმიანობით აღწევს თავს დიდთოვლობისაგან გამოწვეულ ჩამორჩენას.

საწარმომ უკვე 27 აპრილისათვის შეასრულა წლევანდელი ოთხი თვის სახელმწიფო გეგმა. საერთო პროდუქციაში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა 95,4 პროცენტი შეადგინა. მიწოდების გეგმა განაღდებულია.

წლის დასაწყისიდან განვლილ პერიოდში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით და აღებული შრომითი ტემპით გამოირჩევა ქარხნის მეოთხე ბრიგადა, რომლის მიერ გამოშვებული საკაბელო ნაწარმის დიდი ნაწილი გაიგზავნა სტიქიით დაზარალებული სომხეთის სახალხო მეურნეობის აღსადგენად.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ᲐᲮᲚᲐ, როცა წლის განვლილ გზას აჯამებენ, აღნიშნავენ იმასაც, რაოდენ საჭირო და დროული გამოდგა შარშან ჩვეულებრივ ქარხანაში სასწავლო ქარხნის შექმნა, რამდენი ისეთი რამ შეისწავლეს მოსწავლეებმა, პროფესიული ორიენტაციისათვის რომ გამოადგათ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ „საქაგრომშენდიტალის“ გორის ხის დამმუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელებმა ქალაქის მე-13 საშუალო სკოლის დირექციას შესთავაზეს ურთიერთხელსაყრელი გარიგება — ქარხნის სამეურნეო საქმიანობაში მოსწავლეთა შრომითი მონაწილეობა, რასაც სასკოლო შრომის გაკვეთილები უნდა შეეცვალა.

სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. ქარხნის ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე მალე გაიხსნა სასწავლო ქარხანა — ამუშავდა ახალთაბალი ხის დამმუშავებელი ჩარხები, დაზგა-დანადგარები. სკოლის უფროსკლასელი ვაჟები კვირაში 4 საათს ქარხანაში ატარებენ, ქმნიან პროდუქციას — სადურგლო ნაწარმს, რომელიც ქარხანას ესაჭიროება. შარშან მათ ხელფასის სახით 800 მანეთზე მეტი გამოიმუშავეს.

ქარხნის ადმინისტრაციას მოსწავლეები სკოლიდან ქარხანაში და უკან საკუთარი ავტობუსით გადაჰყავს, შესვენებისას საწარმოს ხარჯზე იკვებებიან.

მალე ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში გამოსაშვები ბავშვები გამოცდები დაიწყება, შემდეგ კი შეკითხვაზე — „ვინ მინდა ვიყო!“, — ქალაქის მე-13 საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელთა უმრავლესობას პასუხი ახლავე მზად აქვს: დურგალი ხისდამმუშავებელ ქარხანაში!

სკკ. კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

(საკინფორმი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

1989 ᲬᲚᲘᲡ 15 მაისს გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომა. იგი მიეძღვნა უნივერსიტეტისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მიკუთვნების საკითხს.

— ჩვენ დიდი ეროვნულ-კულტურული მოძრაობისა და აღორძინების პერიოდში ვცხოვრობთ, თქვა სხდომის გახსნისას უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნოდარ ამაღლობელმა. — უნივერსიტეტი დღიდან თავისი არსებობისა ეროვნული ცხოვრების, ყველა მისი პრობლემის ჭირისუფალია. დიდია მისი სახელის, ავტორიტეტის ძალა. დიდი ხანია ხალხი თხოულობს მის მაღალ სახელს შეეფერთდეს მისი დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის წმინდა სახელი. ეს უფრულესად ფაქიზი მოვლენაა ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში. და მაინც, საჯაროობისა და დემოკრატიის პრინციპი არ დავარღვიეთ. დღევანდელ საბჭოს წინ უღიოდა ფაქტობრივი რეფერენდუმი — ყველა ფაკულტეტის სამეცნიერო და პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ გამოთქვა თავისი აზრი. დღეს სურათი გამოიკვეთა. ჩემი აზრით, ივანე ჯავახიშვილის სახელი უნივერსიტეტს შემატებს დიდებას და ეროხელ კიდევ მოწიწებით გაგვახსენებს უნივერსიტეტის დამაარსებლის ხათელ ღვაწლს.

— დღევანდელი აქტი, — აღნიშნა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, — არ არის მხოლოდ საზეიმო ცერემონიალი. ჩემი აზრით, ეს არის პირველი ნაბიჯი ჩვენი უნივერსიტეტისათვის ავტონომიის მოპოვებისა. უნივერსიტეტი ერმა შეაქმნა და ეს მისია მან ივანე ჯავახიშვილს დააკისრა. იგი არ ყოფილა ზემოდან ნაბოძები წყალობა. არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ უნივერსიტეტი გიხსნა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. ეს უბრალო სიმბოლიკა როდია. ეს არის იმ განსაკუთრებული აქცენტის საფუძველი, რომ უნივერსიტეტი იყო, არის და იქნება ერის ბურჯი, თავად მყარ ბურჯზე დაფუძნებული. ამასთან, მაქვს კონკრეტული წინადადება: უნივერსიტეტის დაარსების დღე — 8 თებერვალი იქცეს უნივერსიტეტის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან დღედ. სწორედ 8 თებერვალს უნდა შედგეს უნივერსიტეტში სამეცნიერო სესიები — როგორც სამეცნიერო წლიური შრომის შეჯამება. - ამ დღეს საზეიმოდ უნდა გადაეცეთ ლაურეატებს ივანე ჯავახიშვილისა და უნივერსიტეტის პრემიები, ივანე ჯავახიშვილის მედალი. ეს დღე დიდ ისტორიულ თარიღად უნდა იქცეს. ჩვენი უნივერსიტეტი საერთაშორისო მასშტაბის, დიდი პოტენციალის მქონე უნივერსიტეტია. იმედი გვაქვს, რომ იგი ღირსეულად ამოიდგება მხარში ისეთ განთქმულ უნივერსიტეტებს, როგორიცაა სორბონის, ჰარვარდის, ჰუმბოლდტისა თუ ლომონოსოვის უნივერსიტეტი.

საბჭოს სხდომაზე ივანე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი მარიკა ლორთქიფანიძე.

— ჩემთვის არ არსებობს უფროსი მაღალი ჯილდო, ვიდრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია, — თქვა მან. — და განსაკუთრებით დაუვიწყარი იქნება იგი ჩემთვის, რამეთუ იგი გადმომეცა დღეს — 15 მაისს, როცა დაისვა საკითხი, რომ ჩვენს უნივერსიტეტს მიენიჭოს დიდი ივანეს სახელი. უფრმესი მადლობა ამ დღისათვის.

სამეცნიერო საბჭომ მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ დაამაყოფილოს მისი შუამდგომლობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიანიჭოს ივანე ჯავახიშვილის სახელი.

(საკინფორმი).

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

12 მაისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პრაქტიკული საქმიანობის საკითხები. თათბირში მონაწილეობდნენ ინფორმაციის ცენტრალური ორგანოების, იდეოლოგიური დაწესებულებებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, ზოგიერთი სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტის იდეოლოგიურ განყოფილებათა გამგეები. თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგემ ა. ს. კაბტომ.

თათბირზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ა. მედვედევმა. ჩვენს საზოგადოებას, აღნიშნა მოხსენებელმა, პოლიტიკური აქტიურობის პიკი დაუდგა. ჯერ კიდევ არ დამცხრალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის აპრილის პლენუმთან, მის უპირველესებთან და მწვავე შეფასებებთან დაკავშირებული დისკუსიები, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გახსნამდე კი უკვე ორ კვირაზე ნაკლები რჩება, რომელიც ფართოდ გაშუქდება პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი. მთავრდება ეროვნებათშორისი ურთიერობის პრობლემებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადება.

განვლილმა არჩევნებმა არა მარტო გააქტიურა, არამედ უაღრესად პოლიტიკური გახადა ცხოვრება, მან ჩვენს სინამდვილეში შემოიტანა სრულიად ახალი პოლიტიკური რეალიები. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები ერთიერობის პრობლემებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადება.

განვლილმა არჩევნებმა არა მარტო გააქტიურა, არამედ უაღრესად პოლიტიკური გახადა ცხოვრება, მან ჩვენს სინამდვილეში შემოიტანა სრულიად ახალი პოლიტიკური რეალიები. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა კონგრესებმა, ეროვნულ-სახალხო ინტერესების დაყენებამ, საერთო ეროვნული კონსენსუსის ძიების აქტიური წარმოება. ამ თვალსაზრისით ახლა არ არის არავითარი ალტერნატიული საზოგადოებრივი ძალა. პარტიული მუშაობის ავანსცენაზე სულ უფრო აქტიურად წინაურდებიან გარდაქმნის ფორმაციის ადამიანები. დიდია მოთხოვნა ამ ადამიანებზე, მაგრამ მათ უნდა დავეხმაროთ კიდეც. პრესას ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს, რათა საზოგადოებრიობაში მკვიდრდებოდეს ატმოსფერო, რომელშიც ადამიანი უფრო გულდაჯერებითა და პასუხისმგებლობით იმუშავებს, რათა საჯაროობა არ გადაიქცეს ანგარიშსწორების, პატიოსნად მუშაკების ძაგების შესაძლებლობად.

განხილეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის პრაქტიკული საკითხები. აღინიშნა, რომ პრესა ჯერ კიდევ არასოდეს არა ყოფილა ისეთი გავლენიანი ძალა, როგორც დღეს არის. ეს გამოიხატება ტირაჟების უზარმაზარი ზრდით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უდიდესი ზემოქმედებით საზოგადოებრივ აზრზე და მისი მეშვეობით სიტუაციაზე მთელ ქვეყანაში. პრესამ, ტელევიზიამ, რადიომ ბევრი რამ გააკეთეს დემოკრატიზაციისა და საჯაროობის განვითარებისათვის, ჩვენი საზოგადოების უფრო მეტი კარგახსნილობისათვის — ყოველივე იმისათვის, რასაც მოიცავს სულიერი, იდეოლოგიური სფეროს გარდაქმნის ცნება. ამავე დროს გულდასმით უნდა გავაანალიზოთ და გამოვიტანოთ პრაქტიკული დასკვნები კრიტიკიდან, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე გაისმა პრესის მისამართით. პრესამ უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობაც საზოგადოებაში შექმნილი ვითარებისათვის და ყველაფერი იღონოს უსწრაფესი წინსვლისათვის.

პრესა, რადიო, ტელევიზია ობიექტურად უნდა ჯვიჩენებდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას, ქვალიფიციურად და ზუსტად წერდნენ თანამედროვეობის ისტორიას. მათზე დაკისრებული ამოცანების გამო ისინი არა მარტო უნდა ასახავდნენ საზოგადოებრივ აზრს, არამედ მნიშვნელოვანწილად აყალიბებდნენ კიდეც მას. ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციაა. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება გარდაქმნის უმძლავრესი ბერკეტი, საზოგადოებრივი მმართველობის მთელი სისტემის საჭირო კომპონენტია განსაკუთრებით დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში. ჩვენი ცხოვრების არცერთი რამდენადმე დიდი საკითხი, ხელმძღვანელი ორგანოების არცერთი რამდენადმე დიდი გადაწყვეტილება ახლა ვერ განხორციელდება, თუ არ შეიქმნა შესაბამისი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, თუ არ გავითვალისწინეთ, როგორ აღიქვამს მათ საზოგადოებრიობა.

პრესის უაღრესების ცენტრში უნდა იყოს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმის მიმდინარეობა, შრომითი კოლექტივების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობა. პრესაში ჯერ კიდევ ადეკვატურად არ ისახება საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. ყოველთვის აწონ-დაწონილად, ობიექტურად არ ფასდება სიტუაცია, მაშასადამე — საკმარისი არ არის იმის სწორი გააზრებაც, რაც ეკონომიკაში ხდება. პარტია მხარს უჭერს პრესის კრიტიკულ განწყობას, მაგრამ კრიტიკა უნდა იყოს დამრაზმველი, წარმართველ-ზოგადი. შეძლებულია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიზნების ინტეგრირება, გაუგებრობისა და უთანხმობის აღმოფხვრა, პირველ ადგილზე არა კერძო, არამედ საერთო-სახალხო ინტერესების დაყენება, საერთო ეროვნული კონსენსუსის ძიების აქტიური წარმოება. ამ თვალსაზრისით ახლა არ არის არავითარი ალტერნატიული საზოგადოებრივი ძალა. პარტიული მუშაობის ავანსცენაზე სულ უფრო აქტიურად წინაურდებიან გარდაქმნის ფორმაციის ადამიანები. დიდია მოთხოვნა ამ ადამიანებზე, მაგრამ მათ უნდა დავეხმაროთ კიდეც. პრესას ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს, რათა საზოგადოებრიობაში მკვიდრდებოდეს ატმოსფერო, რომელშიც ადამიანი უფრო გულდაჯერებითა და პასუხისმგებლობით იმუშავებს, რათა საჯაროობა არ გადაიქცეს ანგარიშსწორების, პატიოსნად მუშაკების ძაგების შესაძლებლობად.

განხილეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის პრაქტიკული საკითხები. აღინიშნა, რომ პრესა ჯერ კიდევ არასოდეს არა ყოფილა ისეთი გავლენიანი ძალა, როგორც დღეს არის. ეს გამოიხატება ტირაჟების უზარმაზარი ზრდით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უდიდესი ზემოქმედებით საზოგადოებრივ აზრზე და მისი მეშვეობით სიტუაციაზე მთელ ქვეყანაში. პრესამ, ტელევიზიამ, რადიომ ბევრი რამ გააკეთეს დემოკრატიზაციისა და საჯაროობის განვითარებისათვის, ჩვენი საზოგადოების უფრო მეტი კარგახსნილობისათვის — ყოველივე იმისათვის, რასაც მოიცავს სულიერი, იდეოლოგიური სფეროს გარდაქმნის ცნება. ამავე დროს გულდასმით უნდა გავაანალიზოთ და გამოვიტანოთ პრაქტიკული დასკვნები კრიტიკიდან, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე გაისმა პრესის მისამართით. პრესამ უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობაც საზოგადოებაში შექმნილი ვითარებისათვის და ყველაფერი იღონოს უსწრაფესი წინსვლისათვის.

პრესა, რადიო, ტელევიზია ობიექტურად უნდა ჯვიჩენებდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას, ქვალიფიციურად და ზუსტად წერდნენ თანამედროვეობის ისტორიას. მათზე დაკისრებული ამოცანების გამო ისინი არა მარტო უნდა ასახავდნენ საზოგადოებრივ აზრს, არამედ მნიშვნელოვანწილად აყალიბებდნენ კიდეც მას. ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციაა. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება გარდაქმნის უძლავრესი ბერკეტი, საზოგადოებრივი მმართველობის მთელი სისტემის საჭირო კომპონენტია განსაკუთრებით დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში. ჩვენი ცხოვრების არცერთი რამდენადმე დიდი საკითხი, ხელმძღვანელი ორგანოების არცერთი რამდენადმე დიდი გადაწყვეტილება ახლა ვერ განხორციელდება, თუ არ შეიქმნა შესაბამისი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, თუ არ გავითვალისწინეთ, როგორ აღიქვამს მათ საზოგადოებრიობა.

პრესის უაღრესების ცენტრში უნდა იყოს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმის მიმდინარეობა, შრომითი კოლექტივების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობა. პრესაში ჯერ კიდევ ადეკვატურად არ ისახება საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. ყოველთვის აწონ-დაწონილად, ობიექტურად არ ფასდება სიტუაცია, მაშასადამე — საკმარისი არ არის იმის სწორი გააზრებაც, რაც ეკონომიკაში

მოვლენათა ქრონიკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები

ცალკე ბროშურად გამოიცა 1989 წლის 25 აპრილს გაართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. ბროშურაში შეტანილია საინფორმაციო ცნობა პლენუმის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება და საბოლოო სიტყვა, პლენუმის სხვა მასალები.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

(საკდესი).

▼▼

მეჩაიეთა ზონალური თათბირი

ზუგდიდი (საკ. კორ.). პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში თავი მოიყარეს წალენჯიხის, ხობისა და ზუგდიდის რაიონების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, მეურნეობათა დირექტორებმა, ჩაის გადამმუშავებელი მრეწველობის ხელმძღვანელმა სპეციალისტებმა. ზონალური თათბირი მიეძღვნა მიმდინარე წლის ჩაის სეზონის ორგანიზებულად ჩატარების, ნედლეულის ხარისხის ამაღლებისა და მისი შეუფერხებლად გადამუშავების უზრუნველყოფის ამოცანებს.

ჩაის კრეფის პირველ დღეებზე და მთლიანად სეზონისათვის მზადების მდგომარეობაზე ინფორმაციები გააკეთეს ზუგდიდის, წალენჯიხისა და ხობის აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეებმა მ. დემურიამ, ხ. მიქავამ და პ. მიქავამ. სეზონის შეუფერხებელი ჩატარების ორგანიზაციაში ცალკეულ ხელშემშლელ პირობებზე საქმიანი წინადადებით გამოვიდნენ ზუგდიდის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეები ს. ლაგვილავა და რ. იკარდავა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხობის სარაიონთაშორისო ბაზის უფროსი ი. ტუბუხვაგა, ნარეზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. ლომაია, წყალთა სასისტემო სამმართველოს უფროსი მ. ბაღიშვილი, პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. ქობალია.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგრარული განყოფილების გამგე ბ. ჯიქია.

▼▼

იჯარა აიიფეს პროდუქციას

სიღნაღი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ვაქირის კოლმეურნეობის მინდვრები და ვენახები, მეცხოველეობის ფერმები ალაზნის ველზეა გაშლილი. ახლა იქ გვაქვა მძვინვარებს, რვა თვეა არ უწვიმია. ცხადია, პირუტყვს უჭირს, საკმაო რაოდენობით ვერ ითიბავენ ბალახს.

მეცხოველეები და მექანიზატორები ერთმანეთს ეკილაბინან, რომ საქონელს მწვანე საკვები არ მოაკლდეს. მეძროხეობის ფერმაში ძროხის წველა დამთავრდება თუ არა, მწვანე ბალახი უნდა დაუყარო: ერთ დღეს ამ ფერმის მძღოლი ალექსანდრე მაზანაშვილი მინდორში დაგვიანებით წავიდა. ამით ისარგებლა მეცხვარეობის ფერმის მძღოლმა და ახლადგათიბული ბალახი თავის ფერმაში წაიღო.

— დაგვალულ მინდორში ბალახი უხვად არ არის. თუ წინათ მანქანის ძარა ერთი შემოვლით ივსებოდა, ახლა ოთხი-ხუთი შემოვლის შემდეგ ძლივსღა ვავსებთ. ცხადია, ჩვენი ფერმის ძროხების ნაწველი დღეს მოიკლებსო, — შეშფოთებით გვითხრა მეძროხეობის ფერმის მძღოლმა. ეს მაგალითიც ნათლად მიანიშნებს, რომ იჯარით შრომამ ერთნაირად დაიინტერესა მეცხოველეცა და მძღოლიც.

თუ რა მისცათ იჯარამ, ჯერ ძნელი სათქმელია. შედეგი წლის ბოლოს უნდა ვიკითხოთ. ჯერჯერობით კი რძის წველის ოთხი თვის სახელმწიფო შეკვეთა მეცხოველეებმა გადამეტებით შეასრულეს, პროდუქცია შარშანდელთან შედარებით მეტიც არის და იაფიც. მაგრამ როდესაც საკვებსაც ჩვენვე ვაწარმოებთ, პროდუქცია მაშინ უფრო გაიაფდებაო, ასე მიაჩნია ვეტერან მეცხოველეს გიორგი ოღიაშვილს, მიაჩნია და სწორიც არის. ჯერჯერობით კი კოლმეურნეობამ შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტი, 25 ტონა რძე მიიღო.

ჯერ ყველა ნანგრევი არ გაწმენდილა, საღამოობით ბევრ სახლში არ ინთება შუქი, ჯერ კიდევ არის სასურსათო სიძნელეები და შეფერხებები წყლის მიწოდებასთან დაკავშირებთან, მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვს. ჩრდილოეთ სომხეთის ქალაქები და სოფლები, რომლებსაც თავს დაატყდა სტიქია, აღარ ტოვებენ ნგრევისა და განადგურების მძიმე შთაბეჭდილებას. დილაობით ცოცხლდება ქუჩები, ხალხით ივსება ავტობუსის გაჩერებები, ილება მაღაზიების კარი და საწარმოების ჭიშკრები, რომელთა ახლოს კიოსკორები სწრაფად არიგებენ გაზეთებს. ეს უკვე უბედურების ზონა კი არა, მუყაითი შრომის, მოკმედი ინტერნაციონალიზმის ზონაა და ადამიანები აქ ცხოვრობენ მთელ საბჭოთა ხალხთან საერთო ცხოვრებით. ამ რეგიონის სპეციფიკური პრობლემების ფართო პალიტრაში მთავარია დაგნეული ქალაქებისა და სოფლების აღორძინება, ცხოვრების ნორმალური პირობების აღდგენა ადამიანებისათვის, რომლებმაც დიდი ტრაგედია განიცადეს.

12 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიამ ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად განიხილა სომხეთის სს რესპუბლიკის მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში ცალკეულ ხელშემშლელ პირობებზე საქმიანი წინადადებით გამოვიდნენ ზუგდიდის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეები ს. ლაგვილავა და რ. იკარდავა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხობის სარაიონთაშორისო ბაზის უფროსი ი. ტუბუხვაგა, ნარეზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. ლომაია, წყალთა სასისტემო სამმართველოს უფროსი მ. ბაღიშვილი, პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ი. ქობალია.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგრარული განყოფილების გამგე ბ. ჯიქია.

▼▼

იჯარა აიიფეს პროდუქციას

სიღნაღი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ვაქირის კოლმეურნეობის მინდვრები და ვენახები, მეცხოველეობის ფერმები ალაზნის ველზეა გაშლილი. ახლა იქ გვაქვა მძვინვარებს, რვა თვეა არ უწვიმია. ცხადია, პირუტყვს უჭირს, საკმაო რაოდენობით ვერ ითიბავენ ბალახს.

მეცხოველეები და მექანიზატორები ერთმანეთს ეკილაბინან, რომ საქონელს მწვანე საკვები არ მოაკლდეს. მეძროხეობის ფერმაში ძროხის წველა დამთავრდება თუ არა, მწვანე ბალახი უნდა დაუყარო: ერთ დღეს ამ ფერმის მძღოლი ალექსანდრე მაზანაშვილი მინდორში დაგვიანებით წავიდა. ამით ისარგებლა მეცხვარეობის ფერმის მძღოლმა და ახლადგათიბული ბალახი თავის ფერმაში წაიღო.

— დაგვალულ მინდორში ბალახი უხვად არ არის. თუ წინათ მანქანის ძარა ერთი შემოვლით ივსებოდა, ახლა ოთხი-ხუთი შემოვლის შემდეგ ძლივსღა ვავსებთ. ცხადია, ჩვენი ფერმის ძროხების ნაწველი დღეს მოიკლებსო, — შეშფოთებით გვითხრა მეძროხეობის ფერმის მძღოლმა. ეს მაგალითიც ნათლად მიანიშნებს, რომ იჯარით შრომამ ერთნაირად დაიინტერესა მეცხოველეცა და მძღოლიც.

თუ რა მისცათ იჯარამ, ჯერ ძნელი სათქმელია. შედეგი წლის ბოლოს უნდა ვიკითხოთ. ჯერჯერობით კი რძის წველის ოთხი თვის სახელმწიფო შეკვეთა მეცხოველეებმა გადამეტებით შეასრულეს, პროდუქცია შარშანდელთან შედარებით მეტიც არის და იაფიც. მაგრამ როდესაც საკვებსაც ჩვენვე ვაწარმოებთ, პროდუქცია მაშინ უფრო გაიაფდებაო, ასე მიაჩნია ვეტერან მეცხოველეს გიორგი ოღიაშვილს, მიაჩნია და სწორიც არის. ჯერჯერობით კი კოლმეურნეობამ შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტი, 25 ტონა რძე მიიღო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიაში

დაავაჩქაროთ აღორძინება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ყველა ნანგრევი არ გაწმენდილა, საღამოობით ბევრ სახლში არ ინთება შუქი, ჯერ კიდევ არის სასურსათო სიძნელეები და შეფერხებები წყლის მიწოდებასთან დაკავშირებთან, მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვს. ჩრდილოეთ სომხეთის ქალაქები და სოფლები, რომლებსაც თავს დაატყდა სტიქია, აღარ ტოვებენ ნგრევისა და განადგურების მძიმე შთაბეჭდილებას. დილაობით ცოცხლდება ქუჩები, ხალხით ივსება ავტობუსის გაჩერებები, ილება მაღაზიების კარი და საწარმოების ჭიშკრები, რომელთა ახლოს კიოსკორები სწრაფად არიგებენ გაზეთებს. ეს უკვე უბედურების ზონა კი არა, მუყაითი შრომის, მოკმედი ინტერნაციონალიზმის ზონაა და ადამიანები აქ ცხოვრობენ მთელ საბჭოთა ხალხთან საერთო ცხოვრებით. ამ რეგიონის სპეციფიკური პრობლემების ფართო პალიტრაში მთავარია დაგნეული ქალაქებისა და სოფლების აღორძინება, ცხოვრების ნორმალური პირობების აღდგენა ადამიანებისათვის, რომლებმაც დიდი ტრაგედია განიცადეს.

12 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიამ ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად განიხილა სომხეთის სს რესპუბლიკის მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში ჩრდილოეთი რაიონებში მასობრივი სერიის საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ხარისხის შემოწმებისა და მათი ნგრევის მიზეზების შესახებ.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, დღეს ჩრდილოეთ სომხეთში შრომობს მოძმე რესპუბლიკების 40 ათასზე მეტი. წარგზავნილი, აქ მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, საბჭოთა არმიის მეომრები. მათი მონაწილეობითა და აქტიური დახმარებით, სომხეთის სსრ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ფართოდ გაშალეს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, სოციალური სფეროს და საწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების აღდგენისა და მშენებლობისათვის გამიზნული მუშაობა. მოკმედებენ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ცხოვრების უზრუნველყოფის სისტემები — ენერგეტიკული, გაზის, წყალმომარაგების მაგისტრალები. ხორციელდება სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა განვითარების ღონისძიებანი — მათი სიმძლავრეები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ აღორძინების ტემპს. მნიშვნელოვნად გაფართოვდა რკინიგზების სალიანდაგო მეურნეობა. ორგანიზებულად წარმოებს საგზაფხულო მინდვრის სამუშაოები.

არასდროს დავიწყებული არ იქნება, როგორი ქმედითი მონაწილეობით და თანაგრძნობით გამოეხმაურა მთელი მსოფლიო გერთიანება სომხეთში მიწისძვრის ტრაგიკულ შედეგებს. საზღვარგარეთიდან დახმარება დღესაც არ წყდება. ბევრს აკეთებენ ამ მხრივ მომძე სოციალისტური ქვეყნები. მიმდინარეობს აგრეთვე მოლაპარაკება დახმარების კონკრეტული ობიექტების შესახებ ან უკვე დადგმ შეთანხმებები აესტრიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფინეთის, დიდი ბრიტანეთის, ინდოეთის, შვეიცარის, საფრანგეთის, მალი რიგი სხვა ქვეყნების საქველმოქმედო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. სპიტაკში ჩასაბარებლად მზად არის, როგორც მას უწოდებენ, იტალიური სოფელი, რომელშიც ორასი კომფორტული სახლი დგას. საძირკვლი მზადდება ნორვეგიელი ხალხის საჩუქრის — საავადმყოფოსათვის, თვით სახლი კი, რომელიც შეფუთულია 110 კონტეინერში, მზად არის გამოსაგზავნად.

მაგრამ ძირითადი დატვირთვა, რა თქმა უნდა, ჩვენს სამშენებლო ორგანიზაციებს აქვთ. 1989 წლის იანვარ-აპრილში მათ ქალაქებისა და სოფლების სოციალური სფეროს ობიექტებზე შეასრულეს 173 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ანუ წლიური დაგალების მეხუთედზე მეტი. სოფლად შესრულებულია 85 მილიონი მანეთის სამუშაოები, რაც შეესაბამება ოთხი თვის დაგალებას, აშენდა 26 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი, 3,4 ათასი ადგილისათვის გათვალისწინებული თანამედროვე სკოლები, საბავშვო ბაღები 1,8 ათასი ბავშვისათვის.

ამჟამად მილიონად ან ნაწილობრივ ფუნქციონირებს და პროდუქციას უშვებს მიწისძვრის დროს დაზიანებული 170-დან 115 სამრეწველო საწარმო.

ამავე დროს, აღინიშნა სხდომაზე, პარტიული კომიტეტების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული სამუშაოთა თანამედროვე ეტაპის თავისებურებანი. მშენებლობის ტემპის გეგმაზომიერი დაჩქარება შეფერხებულია შესრულების სუსტი დისციპლინის, ფორმალიზმისა და უპასუხისმგებლობის გამო. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება ხშირად ფერხდება მათი პრაქტიკული რეალიზაციის დასაწყისშივე. დაზარალებული რაიონების მცხოვრენნი, არცთუ იშვიათად, დაგვიანებით ღებულობენ ქონების დაკარგვისათვის დადგენილ კომპენსაციას. აწყდებიან სიძნელეებს სამუშაოზე მოწყობასთან დაკავშირებით. ჭიანურდება ინდივიდუალური მშენებლობისათვის ნაკვეთების გამოყოფა, საშენი მასალების შეძენა, ტექნიკის დაქირავება. ნელა ვითარდება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოთა ქსელი. ყოველივე ეს მოსახლეობის სამართლიან საყვედურებს იწვევს.

თუმცა მშენებლობის ყველა მონაწილისათვის განსაზღვრულია ურთიერთობის წესი, დამტკიცებულია სამუშაოთა გრაფიკი, საუწყებათშორისო საკითხების გადაწყვეტისათვის შექმნილია სსრ კავშირის სახმშენის საკოორდინაციო ჯგუფები და სომხეთის სს რესპუბლიკის სახმშენის ახალი ქვეგანაყოფი, ახლა ყველაზე მეტად სწორედ შეთანხმებული მოქმედების ნაკლებობა იგრძნობა. დადგენილ ვადებში არ განხორციელებულა საინჟინრო-გეოლოგიური ძიება. ყოვნდება მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა, პროექტების დამუშავება, რის გამოც ბევრი ორგანიზაცია მნიშვნელოვანი დაგვიანებით შეუდგა სამუშაოს გამოყოფილ ფართობებზე.

შეფერხებათა მიზეზები დაკავშირებულია აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების არადამაკმაყოფილებელ ორგანიზაციასთან, სამშენებლო კონსტრუქციებისა და მასალების, განსაკუთრებით ადგილობრივი მასალების მწვავე დეფიციტთან. საჭიროა მკაცრად დაჩქარდეს საკარიერო მეურნეობის ტექნიკური განახლება, მისი გაფართოება, საარენდო საწყისებით მუშაობის ორგანიზაციაზე გადასვლა. ვიწრო ადგილად რჩება ტრანსპორტი, ყოვნდება ვაგონების განტვირთვა.

საერთოდ სამუშაოთა ტემპი, განსაკუთრებით, იმ მშენებლობებზე, რომელთა საექსპლოატაციოდ გადაცემა დაგეგმილია პირველ სახეკვარწლეულში, არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნეს მიჩნეული. ძალზე სერიოზულად შეფერხდა საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების, სხვა სოციალურ-კულტურული ობიექტების ნელადანი ცალკეული მშენებლობა. იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად დაგვიანდა ტექნიკური დოკუმენტაციის გაცემა, მეტ წილ ფართობზე მშენებლები ვერ იწყებენ საინჟინრო კომუნიკაციების — წყალსადენის, კანალიზაციის, ენერგომომარაგების გაყვანას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისია და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი, რომლებიც ჯერეოვნად აფასებენ მშენებელთა ძალისხმევას, საქმის ვითარებას საგანგებოდ მიიჩნევენ და მოითხოვენ რადიკალური ღონისძიებანი განხორციელდეს მათს გამოსასწორებლად. აღდგენითი სამუშაოების ამ ეტაპზე მთავარი სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაა აცილებამდე უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები მაქსიმალურად უზრუნველყონ საცხოვრებლით, მიაღწიონ, სულელმწიფო კომისიამ აღიარა, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ ახალ სასწავლო წელს დაწყება მორმალურ პირობებში, ამოქმედდეს ქალაქების და სოფლების ცხოვრების უზრუნველყოფის ობიექტები.

ამისათვის საჭიროა, რომ უკვე მაის-ივნისში მოხდეს თვისებრივი გარდატეხა, შეიქმნას საიმედო სამშენებლო ბაზა, განვითარდეს ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების სიმძლავრეები და მიაღწიოს მოცულობას, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს მათზე მოთხოვნილებას. სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უფრო მიზანმიმართულად და ენერგიულად უნდა იმოქმედონ, უმოკლეს ვადებში მოაგვარონ სამშენებლო კონვეიერი, უზრუნველყონ მიწისძვრის ზონაში საწარმოო პოტენციალის აღდგენა. საჭიროა მკაცრად გაიზარდოს ყურადღება საშენი მასალებისა და კონსტრუქციების, სამონტაჟო სამუშაობის ხარისხისადმი. წუნი, უხარისხობა, არათუ დაუშვებელია, დღევანდელ პირობებში ეს დანაშაულიცაა, ხაზგასმით აღინიშნა კომისიის სხდომაზე.

ყოველმხრივ უნდა დაიუჭირო-მთ მხარი ინიციატივიან მუშაობას, გაბედულ, არასტანდარტულ გადაწყვეტილებათა ძიებას, რომლებსაც ეწევიან მოკავშირე რესპუბლიკების ზოგიერთი სამშენებლო ქვეგანაყოფის სპეციალისტები. მნიშვნელოვნად დაიჩქარეს საქმეს მშენებელთა მჭიდრო ურთიერთობა დამპროექტებლებთან, რაც სამუშაოების პარალელურად წარმოების საშუალებას იძლევა. უფრო სწრაფად უნდა წარიმართოს შრომითი კოლექტივების შეჯახება, რომლის თაოსნებმა სომხეთში იკისრეს დაზარალებული რაიონებისათვის დაამზადონ 22 ათასი ხის სახლი.

სხდომაზე სერიოზულად გააკრიტიკეს რუსეთის ფედერაციის სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებმაც ბოლო დროს შესამჩნევად დაკარგეს შეთანხმებულობა მუშაობაში, კამათობენ მეორეხარისხოვან საკითხებზე, თუმცა მთ, რესპუბლიკის დიდი შესაძლებლობების გათვალისწინებით, დაევალოთ ლენინგრადის ელდგენა, რომელიც მოსახლეობის რიცხვით სომხეთის მეორე ქალაქია. არსებითად შეაჩერეს მუშაობის ტემპი უზბეკეთმა და ესტონეთის მშენებლებმა ქალაქ სპიტაკში, რაც მნიშვნელოვნად იმით აიხსნება, რომ მათი სამეთაურო-საინჟინრო ბრიგადა ამ ტიპის ამ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა. სერიოზული პრეტენზიები გამოითქვა რესპუბლიკის სოფლის რაიონებში აგროსამრეწველო კომპლექსის სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობისადმი.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ გამოიტანონ სათანადო დასკვნები კომისიის სხდომაზე აღნიშნული ნაკლოვანებებიდან, არ დაუშვან თვითდამშვიდება და მაქსიმალურად მოახმარონ ძალები ზაფხულის თვეებში დადგენილი დავალებების შესრულებას, ახსოვდეთ, რომ წინ დიდი მოცულობის სამუშაოები ელით იმისათვის, რომ განახორციელონ დაზარალებული რაიონების აღორძინების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრინციპული გადაწყვეტილებანი.

სხდომაზე საფუძვლიანად განიხილეს სახელმწიფო კომისიის დასკვნა სომხეთის სს რესპუბლიკის ჩრდილოეთ რაიონებში მასობრივი სერიის საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ხარისხის შემოწმების შესახებ, რომლებმაც ვერ გაუძღვნ მიწისძვაშა ბიძგებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისია და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი დაეთანხმნენ დასკვნას იმის შესახებ, რომ სპიტაკის მიწისძვრის კატასტროფული შედეგები განაპირობა არა მარტო მისმა დიდბალიანობამ, არამედ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების უაღრესად დაბალმა ხარისხმაც და დაპროექტების ნორმებიდან უხეშმა გადახვევებმა.

ექსპერტიზა გაუკეთდა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების 37 პროექტს, ამასთან თითოეულ პროექტს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილავდა სულ ცოტა სამი ინსტიტუტი. ინსტიტუტებმა ერთმანეთისგან ფარულად, ანონიმურად, დადგენილი წესის დარღვევებით ოპერაციულად ბოლოს ერთ-ერმალურ პირობებში, ამოქმედდეს ქალაქების და სოფლების ცხოვრების უზრუნველყოფის ობიექტები.

ამისათვის საჭიროა, რომ უკვე მაის-ივნისში მოხდეს თვისებრივი გარდატეხა, შეიქმნას საიმედო სამშენებლო ბაზა, განვითარდეს ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების სიმძლავრეები და მიაღწიოს მო

გამოიკვეთა წინაადგოგანი

სახელმწიფო კომისია მუშაობს

15 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის მეოთხე სხდომა. მოწვეული იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჩხეიძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი. მათ ახსნა-განმარტება მისცეს კომისიას 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით.

ზურაბ ჩხეიძემ განაცხადა, რომ ფაქტობრივად 7 აპრილს დედაქალაქის ინტეგიგენციასთან შეხვედრით დაიწყო მისი, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობა. ამავე დღეს საღამოს გამართულ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე გადაწყდა, გაეწთავისუფლებინათ მთავრობის სასახლის წინ მდებარე მოედანი მიტინგის მონაწილეთაგან. შეთანხმდნენ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში გამოეცხადებინათ საგანგებო წესები. ამავე დღეს იგი მიიწვიეს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე, რომელზეც აღინიშნა, რომ მიტინგის დაშლა აუცილებელი იყო. საათანადო გეგმის შედგენა დავალათ. ამერიკაკავკასიის ჯარების სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ იგორ როდიონოვს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს შოთა გორგოძეს.

8 აპრილს, საღამოს 7 საათზე ისევ შეიკრიბა ბიურო, რომელზეც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა თავისი ჯარის ქვედანაყოფებთან და არმიის ნაწილების დაბმარებით დაეშალა მიტინგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა გორგოძემ განაცხადა, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, მოქმედებისათვის კი სამართლებრივი დოკუმენტია საჭიროო.

იმავე საღამოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ჩხეიძემ გასცა განკარგულება, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა შეემუშავებინა დამატებითი ღონისძიებები ქალაქში წესრიგის დასამყარებლად, კონკრეტულად კი გამოეყენებინა საამისოდ შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები და ჩაერთო არმიის ნაწილები, გაეყვანა მიტინგის მონაწილეები და მოშმშილეები და არ დაეშვა ამ აქციის განმეორება. მიტინგის ორგანიზატორთა მიმართ კანონის შესაბამისად უნდა მიეღოთ სათანადო ზომები. ანალოგიური ღონისძიებები უნდა გატარებულიყო ტელერადიოკომიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზეც.

ზურაბ ჩხეიძემ ამ განკარგულების დაუყოვნებლივ გაცემა იმით ახსნა, რომ ქალაქში საკავშირო მნიშვნელობის საწარმოები არ მუშაობდნენ, რაც დაუშვებელი იყო.

ზურაბ ჩხეიძემ დაადასტურა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება გულისხმობდა საგანგებო წესების შემოღებას, მაგრამ დარბევა დაიწყო ისე, რომ საგანგებო წესები არ გამოცხადებულა.

მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ უარყო წინა სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ოთარ ჩერქეზიას განცხადება, რომ იგი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, რომელშიც გადაწყვიტა სამხედრო ძალის გამოყენება. ზ. ჩხეიძემ განაცხადა — რაკი 8 აპრილს შევიმუშავეთ დადგენილება და მიმართვის ტექსტი საზოგადოებრიობისადმი, გულდადინჯებული ვიყავი, ვფიქრობდი, ჯერ დაახანებდნენ, ვიდრე ხალხი არ გაეცნობოდა მიმართვას. აგრეთვე თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მას ხაზგასმით უთხრა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ კოჩეტოვმა, რომ გამოვიყენებთ მხოლოდ ფარებსა და რეზინის ხელკეტებს და არავინ არ დაშავდებაო.

ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა ვრცლად ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა აფხაზეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის და როგორ ვითარდებოდა მოვლენები პარალელურად თბილისში. მან კერძოდ განაცხადა, რომ 7 აპრილს ბიუროს სხდომის დაწყების წინ მასთან მოვიდნენ კოჩეტოვი და როდიონოვი, როდიონოვმა აცნობა, რომ მას დავალებული ჰქონდა ყველა ჯარის ხელმძღვანელობა. 8 აპრილს გაიმართა თბილისის აქტივის შეკრება. შემდეგ — ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომელსაც ზოგიერთი არც კი ეძახის ბიუროს სხდომას. ამ სხდომაზე როდიონოვმა არაერთგზის გვიპასუხა, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ მხოლოდ ფარები და რეზინის ხელკეტები იქნებოდა გამოყენებული.

ჯუმბერ პატიაშვილმა თქვა, რომ 7 აპრილიდან მოყოლებული რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი შეხვედროდა მიტინგის მონაწილეებს. მაგრამ ბიუროს ყველა წევრმა, ომარ ვარძელაშვილის გარდა, არ მიარჩია მათთან უშუალო შეხვედრა, შემომთავაზეს ტელევიზიით მიმმართა ხალხისათვის.

8 აპრილს, იმის გამო, რომ ქალაქში უკვე სამხედრო ტექნიკა გამოჩნდა, გადავწყვიტეთ შეგვექმნა წესრიგი დაცვის საბჭო, მაგრამ კოჩეტოვმა ხალხის გაფრთხილება არ ჩათვალა მიზანშეწონილად, მიტინგის მონაწილეებს უმტკივნეულოდ დავშლიათო. ხალხის გაფრთხილების წინააღმდეგი იყვნენ ოთარ ჩერქეზია და ზურაბ ჩხეიძე. მე მოვითხოვდი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ძალები ყოფილიყო წინა რიგებში, რომ არ დაგვეშვა არმიისა და ხალხის დაპირისპირება.

ოპერაციის დაწყების დრო უნდა განესაზღვრა უშუალოდ როდიონოვს.

გაფრთხილებული იყო სამედიცინო სამსახური, რომ მათ მოშმშილეები უნდა გაეყვანათ. მაგრამ... სამწუხაროდ სულ მალე შევიტყვეთ, რომ ოპერაციას არაერთი მსხვერპლი მოჰყვა.

ამის შემდეგ ბიუროს წევრების თანდასწრებით განვაცხადე, მოხდა ის, რისიც ასე მეშინოდა, ამიტომ მე უნდა გადავდგე-მეთქი.

კომენდანტის საათის შემოღება უკვე აუცილებელი იყო.

საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის კითხვაზე, როდის იგრძენით, რომ რეალური ძალაუფლება დაკარგული გქონდათო, ჯუმბერ პატიაშვილმა უპასუხა: 9 აპრილის დილის 4 საათამდე მეც და ბიუროს ყველა წევრს გვქონდა რეალური ძალაუფლება. დღეს კი ისე ჩანს, თითქოს არავინ არაფერი იცოდა...

კომისიის სხდომამ მოისმინა გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის ირაკლი ჯორჯაძის პირადი ვარაუდი სამხედრო ძალების გამოყენების მექანიზმის შესახებ, სამედიცინო კომისიის დასკვნა დამსწრეთ გააცნო ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ბიძინა ნანეიშვილმა. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ წინა სხდომაზე მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილის, იუსტიციის გენერალ-მაიორის ვლადიმერ ვასილიევის განცხადების პასუხად, თითქოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანდასწრებით მან 16 აპრილს აჩვენა ხელყუმბარა ხალხის გაფრთხილების წინააღმდეგი იყვნენ ოთარ ჩერქეზია და ზურაბ ჩხეიძე. მე მოვითხოვდი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ძალები ყოფილიყო წინა რიგებში, რომ არ დაგვეშვა არმიისა და ხალხის დაპირისპირება.

ოპერაციის დაწყების დრო უნდა განესაზღვრა უშუალოდ როდიონოვს.

გაფრთხილებული იყო სამედიცინო სამსახური, რომ მათ მოშმშილეები უნდა გაეყვანათ. მაგრამ... სამწუხაროდ სულ მალე შევიტყვეთ, რომ ოპერაციას არაერთი მსხვერპლი მოჰყვა.

ამის შემდეგ ბიუროს წევრების თანდასწრებით განვაცხადე, მოხდა ის, რისიც ასე მეშინოდა, ამიტომ მე უნდა გადავდგე-მეთქი.

კომენდანტის საათის შემოღება უკვე აუცილებელი იყო.

საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის კითხვაზე, როდის იგრძენით, რომ რეალური ძალაუფლება დაკარგული გქონდათო, ჯუმბერ პატიაშვილმა უპასუხა: 9 აპრილის დილის 4 საათამდე მეც და ბიუროს ყველა წევრს გვქონდა რეალური ძალაუფლება. დღეს კი ისე ჩანს, თითქოს არავინ არაფერი იცოდა...

ლევან გიორგაძე,
საგამოძიებო ჯგუფის წევრი,

მანანა კარტოზია.

ДАСАВЛЕТИ ГЕРМАНЕЛИ ХВЕЛМОХМЕДНИ

ერთი კვირაა საქართველოში იმყოფება დასავლეთ გერმანიის ქალაქ ფრანკფურტის მახლობლად მდებარე დასახლება მელნიორს-გრუნდის სარეგიონალურ-აღდგენითი ცენტრის - ფატრალური დასი. 1981 წელს დაარსებული ამ ცენტრის მიზანია ჯანმრთელ თუ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს ექიმების, ხელოვნების მუშაკთა, ხელოვნების შემეუობით ყველა პირობა შეიქმნათ მომავალი ნორმალური არსებობისთვის, განიკურნონ XX საუკუნეს „ცივილიზებული“ დაავადებებისაგან. ცენტრს აქვს საკუთარი საცხოვრებელი სახლები, თეატრალური დასი, ატელიე, მაღაზები და ა. შ. აქ სისტემატურად 120-130 ავადმყოფი მკურნალობს 5 ექიმის ზედამზედველობით. სარეაბილიტაციო-აღდგენით ცენტრს ფსიქოთერაპევტი ვოლფგანგ ფრიკი ხელმძღვანელობს.

სწორედ მან და მისმა კოლეგამ რაინჰარდ კაულმა საქართველოში სტუმრობის დროს გამოთქვეს სურვილი ენახათ და დაბმარება გაეწიათ თბილისში 9 აპრილსა და მომდევნო დღეებში ქიმიური ნივთიერებებთან მოწამლული ავადმყოფებისათვის. მათ სამშობლოდან თან ჩამოიტანეს ის მედიკამენტები, რომლებიც საჭიროდ მიიჩნიეს. ძირითადად ეს არის ჰომეოპატიური პრეპარატები, რომელთა როდენობა ქართველ მედიკოსებს საშუალებას მისცემს თვეზე მეტ ხანს უმკურნალონ დაშავებულთ. თუ ეს ნაყოფს გამოიღებს, დასავლეთგერმანელი ექიმები კვლავ მოგვაწვდიან საჭირო წამლებს.

გარდა ამისა, სტუმრებმა 169 დასახელების პრეპარატების ნუსხა და მათი ნიმუშები ჩამოიტანეს ქართველ კოლეგებს. მათი საჭიროების დაზუსტების შემდეგ გაეგზავნიან დასახელებულ წამალს.

ვოლფგანგ ფრიკემ და რაინჰარდ კაულმა გამოიკვლიეს განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფები, რათა ჩამოეყალიბებინათ დაავადების საერთო სურათი. მკურნალობის კურსი ჩაუტარეს რამდენიმე პაციენტს და გარკვეულ შედეგსაც მიაღწიეს. მათი აზრით, თბილისის საავადმყოფოებში მოთავსებულ და ამბულატორიულ აღრიცხვაზე მყოფ ავადმყოფთა დაავადება ერთსახოვანია, ამიტომ თვლიან, რომ მათთვის ნაყოფიერი იქნება იმ პრეპარატებითა და მეთოდებით მკურნალობა, რომელიც პაციენტთა ერთ ჯგუფს ჩაუტარდა. მკურნალობის ეს კურსი უკვე დაენიშნა, ავადმყოფებს.

დასავლეთგერმანელმა სტუმრებმა თბილისის მეოთხე მთავარი სამმართველოს მე-2 საავადმყოფო-პოლიკლინიკაში გამართულ სამედიცინო კონსილიუმზე პასუხი გასცეს ქართველ მედიკოსთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. აღნიშნეს, რომ, მათი და ქართველი კოლეგების დაკვირვებები და მოსაზრებანი ერთმანეთს ემთხვევა, მკურნალობაც თავიდანვე სწორად იყო შერჩეული.

საუბრისას გაირკვა ისიც, რომ დაგეგმილი აქვთ საქართველოს ბავშვთა ფონდში გადმორიცხონ გერმანელი ხალხის შესაწირი — მილიონი დოლარი, ბავშვთა პანსიონატს ასაგებად.

ხვალ სტუმრები თელავს გაემგზავრებიან, სადაც მათი თეატრალური დასი უჩვენებს სპექტაკლებს. ჩამოტანილი აქვთ აგრეთვე დოკუმენტური ფილმი, რომელიც მელნიორს-გრუნდის სარეაბილიტაციო-აღდგენითი ცენტრის საქმიანობასა და ქველმოქმედებას ასახავს.

სოსო გალაშვილი

აჭარა: იმედის ნათელი

არ შეიძლება სიფხიზლის მოდუნება

ბათუმი. 15 მაისი (საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები თ. გენეხეაძე, ი. გოლდმანი). დღეა მთიან აჭარაში მდგომარეობა სტაბილური გახდა: აღარ არის ღვარცოფები და მეწყერები, თოვლის საფარი შენარჩუნებულია მხოლოდ აღმურ ზონაში, ორი ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე, სადაც არ არის დასახლებული პუნქტები. იქნება შთაბეჭდილება, რომ სტიქიამ ეკონ დაიხია. მაგრამ სპეციალისტები გვაფრთხილებენ: არ შეიძლება სიფხიზლის მოდუნება, პირველივე ძლიერმა წვიმამ კვლავ შეიძლება გამოიწვიოს ბუნების აბოხვრება.

— ჩვენი დაკვირვება ადასტურებს ამ უნუგეშო პროგნოზს, — თქვა აჭარის სსსრ ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის ცენტრის უფროსმა ისმეთ ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე, სადაც არ არის დასახლებული პუნქტები. იქნება შთაბეჭდილება, რომ სტიქიამ ეკონ დაიხია. მაგრამ სპეციალისტები გვაფრთხილებენ: არ შეიძლება სიფხიზლის მოდუნება, პირველივე ძლიერმა წვიმამ კვლავ შეიძლება გამოიწვიოს ბუნების აბოხვრება.

— ჩვენი დაკვირვება ადასტურებს ამ უნუგეშო პროგნოზს, — თქვა აჭარის სსსრ ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის ცენტრის უფროსმა ისმეთ ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე, სადაც არ არის დასახლებული პუნქტები. იქნება შთაბეჭდილება, რომ სტიქიამ ეკონ დაიხია. მაგრამ სპეციალისტები გვაფრთხილებენ: არ შეიძლება სიფხიზლის მოდუნება, პირველივე ძლიერმა წვიმამ კვლავ შეიძლება გამოიწვიოს ბუნების აბოხვრება.

ბათუმი. 15 მაისი (საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები თ. გენეხეაძე, ი. გოლდმანი). დღეა მთიან აჭარაში მდგომარეობა სტაბილური გახდა: აღარ არის ღვარცოფები და მეწყერები, თოვლის საფარი შენარჩუნებულია მხოლოდ აღმურ ზონაში, ორი ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე, სადაც არ არის დასახლებული პუნქტები. იქნება შთაბეჭდილება, რომ სტიქიამ ეკონ დაიხია. მაგრამ სპეციალისტები გვაფრთხილებენ: არ შეიძლება სიფხიზლის მოდუნება, პირველივე ძლიერმა წვიმამ კვლავ შეიძლება გამოიწვიოს ბუნების აბოხვრება.

სტიქია არ ცხრება

ბათუმი. (საკ. კორ). აჭარის მთიანეთიდან კვლავ არასასიამოვნო ცნობები მოდის. მეწყერების ახალი კერები კვლავ ემუქრება მოსახლეობას. ხულოს პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ბესარიონ შაინიძემ გვაცნობა, რომ მეწყერი დაიძრა სოფელ კორტოხში, საშიში ზონიდან გახიზნეს 14 ოჯახი. ხულოში სოფელი არ დარჩენილა დაუმეწყრავი. ხალხს უშიშრად ვერ დაუძინია, დაჭანებულ ფურდობებზე სამუშაოდ ვერ გასულა.

არც ქედის რაიონშია სიმშვიდე. სოფელ აქუტაში ახლახან დაიძრა 150 მეტრი სიგანის მიწა. მეწყერი თუ გაღრმავდა, რაიონული ცენტრის ზოგიერთ უბანს საფრთხე ემუქრება.

ეთნოვეებიან მუოგლიურ კერას

სტიქიურავა უბედურებამ, რომელიც მთიან აჭარას დაატყდა თავს, აქაური მკვიდრნი, რომელნიც ზვავსაშიშ ზონაში არიან, აიძულა მიეტოვებინათ მშობლიური კერა.

სურათებზე: შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურში მცხოვრები შალვა მაკარაძის ოჯახი ტოვებს თავის სახლ-კარს; ოლადაურში უკვე 16 ოჯახმა მიატოვა თავისი მშობლიური კერა, საშიშ ზონაშია კიდევ 45 ოჯახი, რომლებსაც სოფლის დატოვება და სხვა რაიონში დასახლება მოუწევთ.

საქინფორმის ფოტო.

კვლავ ახმიანდა ზარები

მთელს აჭარაში გახმაურდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბათუმში 12 მაისს ჩამოვიდოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მატარებლის ჩამოდგომამდე დიდი ხნით ადრე სადგურის ბაქანი გაიესო ათასობით ადამიანით. მატარებლის გამოჩენას ზარების გუგუნით მიეგება ბათუმის ღვთისმშობლის ეკლესია. ამ აქტში იყო რაღაც სიმბოლური და განსაკუთრებული — მთელი ქალაქის გასაგონად აეფერდა თითქმის 70 წლის წინათ დადუმებული ზარები.

საღამოს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორისა და მისი თანმხლები პირების მიღება.

მიღებას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გურამ ემირიძე, აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ინტელიგენციის წარმომადგენლები. საზოგადოებრიობის სახელით სტუმრებს მიესალმა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ ჩიგოგიძე. მან ილია მეორეს გადასცა აჭარის ასსრ მთავრობის დადგენილება ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემის თაობაზე და ეკლესიის სიმბოლური გასაღები.

საქართველო ზეიმობს. 9 აპრილს თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ და აჭარის მთებში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ უდიდესი მუხტარება და მატერიალური ზარალი გამოიწვია. მაგრამ ჩვენ გლოვასთან ერთად უნდა ვიფიქროთ ერის მომავალზე... პრობლემები, რაც დგას ერის წინაშე, დგას ეკლესიის წინაშეც. ბოლო ერთ წელიწადში საქართველოს ეკლესიას გადაეცა ასზე მეტი ტაძარი, ახლა შეგვემატა ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარი.

13 მაისს საღამოს ფართოდ გაიღო ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის კარი, დიდებული სანახაობა იყო. ეკლესიამ ვერ დაიტია ხალხი, ასობით ადამიანი გარეთ იდგა. ხმის გამაძლიერებლებით მიდამოს ეფინებოდა ტკბილი საეკლესიო საგალობლები.

კვირას, ტაძარში დილიდანვე შეუდგნენ წირვასა და საზეიმო ნათლობას.

16 მაისს ილია მეორე გაემგზავრა ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონებში, სტიქიით დაზარალებული სოფლების მოსანახულებლად, სხალთის ტაძარში მოსალოცავთან შესახვედრად.

მიხეილ გორგილაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

დახმარების ხელი

● **შესანიშნავი** თაოსნობა გამოიჩინეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტებმა. ამ დღეებში მათი წარმომადგენლები აჭარაში იყვნენ, გაეცნენ შექმნილ ვითარებას და გადაწყვიტეს: შექმნიან 80-კაციან რაზმს, რომელიც ნებისმიერ სამუშაოს შეასრულებს სტიქიით დაზარალებული ოჯახების ჩასასახლებელ რაიონებში.

● **„აბარას** — რუსთაველი მშრომელებისაგან“, — ეწერა სატვირთო ავტომანქანების კოლონას, რომელიც ბათუმს ჩავიდა. მანქანები დატვირთული იყო სამშენებლო მასალებით, ლეიბებით, პირველადი მოთხოვნილების საგნებით. ამას გარდა, მეტალურგთა ქალაქიდან ვაგონებით გგზავნილია სამშენებლო მასალები.

საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“ დახმარების ფონდში ჩარიცხა 50 ათასი მანეთი. დამატებით, იქაურმა მშრომელებმა გაიღეს 2 დღის ხელფასი. ასეა რუსთავის სხვა საწარმოებშიც.

მოეწყობა შაბათობები და გამოშუშავებული თანხაც დახმარების ფონდს შეემატება.

● **მარნეულ**ის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანამ დახმარების ფონდს შემატა 3,5 ათასი მანეთი.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ
ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ — ᲘᲣᲜᲘᲡᲘ 15 ᲛᲐᲘᲡᲘ

◆ კუბა

დაგმეს მუქარის პოლიტიკა

ჰავანა. პანამაზე ამერიკის შეერთებული შტატების გავლენისა და მის მიმართ მუქარის პოლიტიკა დაგმეს მონდურასის ლიბერალური პარტიისა და ეროვნული პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებიც აქ ვიზიტად იმყოფებიან ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყნის პარლამენტის დელეგაციის შემადგენლობაში.

ჯგუფის ხელმძღვანელმა ჰონდურასის ეროვნული ასამბლეის დეპუტატმა მანუელ სელაია როუალესმა გამოთქვა წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შესაძლოა საბჭედრო ზეგავლენა მოახდინოს პანამაზე და ვაშინგტონი შეეცადოს წინასწარ შექმნას აზრი ამ ქვეყანაში გამართული არჩევნების შედეგების შესახებ. შეერთებული შტატების ეს პოლიტიკა ალოვევს სხვა სახელმწიფოთა სამეგობრო ჩაურეგლობის პრინციპსა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლებებს, იგი უნდა უარყოს მთელმა საერთაშორისო გაერთიანებამ, განაცხადა მან ჟურნალისტებთან საუბარში.

კუბის პარლამენტი გმობს ვაშინგტონის აგრესიულ პანამისსაწინააღმდეგო კურსს და სოლიდარობას უცხადებს პანამელ ხალხს, განაცხადა აქ კუბის სახალხო ხელისუფლება ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სეეერო აგირე დელ კრისტომ. ჩვენ გვაშფოთებს შეერთებული შტატების პოზიცია, რომელსაც მიაჩნია, რომ უფლება აქვს თავისი ნება თავს მოახვიოს სხვა ქვეყანას.

კიტო. პანამაში საყოველთაო არჩევნების შედეგებზე ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ ზეგავლენის მოხდენის ცდები სავსებით ცხადი და მეტისმეტად თვალშეცდური იყო, განაცხადა აქ ეკვადორის მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლუის ჰარინმა. იგი პანამაში მეთვალყურედ იყო ამ ქვეყანაში გამართული პრეზიდენტის არჩევნების დროს.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲚᲒᲐᲛᲘ

ზიცი დადო ავტორიტეტ-პრეზიდიუმმა

ბელგრადი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუშჩინის (პარლამენტის) ორივე პალატის გაერთიანებული სხდომაზე ფიცი დადო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ახალმა პრეზიდიუმმა — სახელმწიფოს კოლექტიურმა მეთაურმა, რომელსაც ხუთი წლის ვადით აირჩევენ. პრეზიდიუმში შეეიდა ექვსი რესპუბლიკიდან და ორი ავტონომიური მხარიდან თითო წარმომადგენელი. ბოსნიისა და ჰერცოგოვინის, მაკედონიის არჩევნებში დასახელებულმა კანდიდატებმა ვერ მიიღეს ხმების საჭირო რაოდენობა და ამიტომ ახალ არჩევნებამდე მათ ადგილებს დაიკავებენ ამ რესპუბლიკების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები. წარსული წლებისაგან განსხვავებით ქვეყნის კონსტიტუციის იმ შესწორებათა საფუძველზე, რომლებიც 1988 წლის დამლევს მიიღეს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე არ შედის იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

◆ აშშ

სენატორის მოთხოვნა

ვაშინგტონი. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ფურცლებზე სენატორმა ალბერტ გორმა მოითხოვა გადაისინჯოს ეროვნული უშიშროების დარგში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის პრიორიტეტები, მისი აქცენტი თანდათანობით გადაიტანონ სსრ კავშირთან კონფრონტაციის პრობლემიდან ჩვენი პლანეტის ეკოლოგიური სისტემის დაცვის გადაუდებელი პრობლემების გადაჭრაზე.

მან მოიყვანა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში დედამიწის ეკოლოგიურ პრობლემათა მკვეთრი გამწვავების — ტყეებისა და ცხოველთა სამყაროს დაღუპვის, ატმოსფეროს ოზონის ფენის ღრეგვევის, პაერსა და ნიადაგში ქიმიური ნარმოვების შხამიანი ნარჩენების დაგროვების, კლიმატის საერთო დათბობის მაგალითები. გორი აღნიშნავს, რომ დედამიწის ურთულეს ეკოლოგიურ პრობლემათა გადასაჭრელად საჭიროა თანამედროვე ცივილიზაციის ყველა ტექნიკური და სამეცნიერო რესურსის მობილიზაცია, აგრეთვე „გლობალური პოლიტიკის ტრანსფორმაცია — ხანმოკლე საზრუნავიდან ხანგრძლივი მიზნებზე, კონფლიქტიდან თანამშრომლობაზე გადასვლა“.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

● **კანი.** „კინო და თავისუფლება“ — ასე ეწოდება კინოს წამყვან მოღვაწეთა საერთაშორისო ფორუმს, რომელიც გაიხსნა აქ მიმდინარე კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში. მასში მონაწილეობს მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის ასზე მეტი წამყვანი კინორეჟისორი, რომლებიც თანამედროვე კინოხელოვნების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები არიან.

● **მეხიკო.** გვატემალის მთავრობის დეკრეტით გაუქმდა სისხლის სამართლის ძიების დეპარტამენტი — ქვეყნის საიდუმლო პოლიცია. როგორც სერიგუას საგენტო იუწყება, ხელისუფალთა ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია სამხედრო ამბოხების ცდასთან, რომელიც ჩაახშეს მთავრობის ერთგულმა ჯარებმა.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

◆ ჩინეთი — სსრ კავშირი

საზღვრისპირა ურთიერთობანი

ჩინეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე საზღვრისპირა ქალაქ ხეიხედან კარგად ჩანს საბჭოთა ქალაქი ბლაგოვეშჩენსკი, მდინარე ხეიღუნძიანის (ამურის) მეორე ნაპირზე რომ მდებარეობს. ორი ქვეყნის საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებლები, რომლებიც ხანგრძლივი, დროის მანძილზე გათიშული იყვნენ, ახლა ერთმანეთის ხშირი სტუმრები არიან. შარშან ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ერთდღიანი ექსკურსიების მოწყობის თაობაზე. შეთანხმებით გათვალისწინებულია ორივე მხარის მიერ კვირაში ორი ტურისტული ჯგუფის გაგზავნა 40-40 კაცის შემადგენლობით. 1988 წლის მიწურულისათვის თითოეული მხრიდან უკვე 520-მა ტურისტმა იმოგზაურა. წელს მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

შარშან გამოცხადდა აგრეთვე საზღვრისპირა ვაჭრობა. ხეიხესა და ბლაგოვეშჩენსკს შორის დაიდო სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს 130 მილიონი შვეიცარიული ფრანკის მოცულობის საქონელბრუნვას. ნომენკლატურაში 400-ზე მეტი დასახელების საიმპორტო და საექსპორტო საქონელია. ორივე მხარემ დადო აგრეთვე ეკონომიკურ-ტექნიკური თანამშრომლობის 40 შეთანხმება.

სურათებზე: საბჭოთა ტურისტები ჩინეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ საბჭოთა მეომრების ძეგლთან ქალაქ ხეიხეს ვანსუს პარკში; ქუჩის მოვაჭრენი ხეიხეში.

საკდესის ფოტო.

ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

სოლიდური დიალოგის კარგი დასაწყისი

საკმაო ხნის შესვენების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების სათავეში ახალი ადმინისტრაციის მოსვლით და ვაშინგტონის მიერ თავისი საგარეოპოლიტიკური კურსის გაჭიანურებული „გადასინჯვით“, განახლდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგი უმაღლეს დონეზე.

ამ დღეებში დამთავრდა მოსკოვში შეერთებული შტატების ახალმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის ვიზიტი, გაიმართა მისი შეხვედრა საბჭოთა ხელმძღვანელთან მ. ს. გორბაჩოვთან, მოლაპარაკება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ე. ა. შევარდნაძესთან. „ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კვლავ ვითარდება“, — აღნიშნა ინგლისის ტელეკომპანია ბი-ბი-სი. „დიდი გზის, სერიოზული, სოლიდური დიალოგის კარგი დასაწყისი“, — ასე შეაფასა მოლაპარაკება ე. ა. შევარდნაძემ.

როგორც უკვე ცნობილია, ვიზიტის დროს ხელი არ მოუწერიათ ფართო შეთანხმებებისათვის. მიუხედავად ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მხარეებმა არა თუ განიხილეს შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების საკვანძო საკითხები, არამედ მორიგდნენ კიდეც განაახლონ ივნისში მოლაპარაკება სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების თაობაზე, აგრეთვე ფართო მასშტაბის მოლაპარაკება ბირთვული გამოცდების შეზღუდვისა და აკრძალვის შესახებ. განიხილეს მთელი რიგი სხვა პრობლემაც. ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა, მიმომხილველთა ერთხულოვანი აზრით, ხახელმწიფო მდივანთან საუბრის დროს მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებულმა წინადადებამ 1990-1997 წლებში ევროპაში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის და ნატოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების რადიკალური შემცირების შესახებ. საბჭოთა ხელმძღვანელმა ხახელმწიფო მდივანს აცნობა, რომ სსრ კავშირმა ჯერ კიდევ მიიღო გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით 1989 წელს მოკავშირე ხახელმწიფოთა ტერიტორიიდან თავის ტერიტორიაზე გაიტანოს ტაქტიკური ბირთვული საშუალებათა 500 ქობინი და მზად არის 1989-1991 წლებში საერთოდ გაიტანოს თავის მოკავშირეთა ტერიტორიიდან ყველა ბირთვული იარაღი, იმ პირობით, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ანალოგიურ საპასუხო ნაბიჯს გადადგამს.

**მოსკოვმა კვლავ გამოიჩინა ინიციატივა, რომელისთვისაც ადეკვატური და კონსტრუქციული პასუხის გასაცემად ამერიკის შეერთებული შ

ᲤᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲒᲘ

მომადლებული არტისტიზმი

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ მაყურებლის საყვარელი მოცეკვავე, ერთ დროს სცენის „ერპად“ ალიარებული, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მარიამ ბაური 80 წლის შესრულდა. თუმცა ეს ძნელი დასაჯერებელია, როდესაც თვალს შეავლებ მას კოხტად და მსუბუქად მომავალს თბილისის ქუჩებში.

თბილისი ვახსენე და მართლაც, მარიამ ბაური ჩვენი დიდებული ქალაქის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა, მისი ლაღი ბუნების ერთ-ერთი ბეშმარიტი გამომხატველი.

მ. ბაურის არტისტული ცხოვრება ისე მჭიდროდ იყო გადახლართული თბილისთან, ოპერის თეატრის სვე-ბედთან, რომ მას დღემდე არც ერთი სეზონი სხვა თეატრში არ გაუტარებია.

ამ ხნის მანძილზე მარიამ ბაური ატაკვეებდა მაყურებელს თავისი სწორუპოვარი ლამაზი ცეკვით, იმ გასაოცარი თეატრალობით, ასე უნვად რომ აფრქვევს ამჟამადაც ყოველდღიურობაში.

მარიამ ბაური თეატრის კულისების ატმოსფეროში იზრდებოდა. დედა ქოროს მსახიობი იყო, მამა — სუფლიორი. ასე რომ, ბავშვის ყოველი დღე თეატრში იწყებოდა. როდესაც 1916 წელს ქართველი საზოგადოებრიობისაგან ფრიად დაფასებულმა იტალიელმა ბალერინამ მარიამ პერინიმ ოპერის თეატრთან გახსნა კერძო სალალეტო სტუდია, მშობლებმა მარიამი ამ სტუდიაში მიიბარეს. ამ სტუდიაში აღზრდნენ შესანიშნავი მოცეკვავეები, რომლებმაც შემდგომში შეადგინეს ოპერის თეატრის მუდმივი სალალეტო დასი. საკმარისია ჩამოვთვალოთ რამდენიმე გვარი (მ. ბაური, თამარ და ვახტანგ ჭაბუკიანები, ლ. გვარაძეები, ელ. ჩაყვიანი, ი. ალექსიძე, ქ. ნადარეიშვილი, ს. სერგეევი, ი. არბატოვი, ვ. ნადირაძე...), რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი პოტენციური შესაძლებლობის მოცეკვავეთა დასი შეიქმნა საქართველოში. პერინის სტუდიელები გამოირჩეოდნენ მკაფიო ინდივიდუალური თვისებებით, აღჭურვილნი იყვნენ იტალიური ცეკვის სკოლის ყველა ღირსებით, რომელიც გულისხმობდა სხეულის კოორდინირების ვირტუოზულ ფლობას, მტკიცედ შემართულ დგომას ცერებზე, არაჩვეულებრივ მოქნილობას განუსაზღვრელ პლასტიკურ გამომსახველობას და ზეიწეულ თეატრალობას მოქმედებაში. მ. ბაური, რომელსაც ისედაც მომადლებული არტისტიზმი და ტემპერამენტი ჰქონდა, თვალსაჩინოდ ჩანდა ბალეტის ხაცეკვაო ფორმით მივიდა თეატრში.

იმ ხანებში (20, 30-იან წლებში) ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების სამმართველო ხშირად აგზავნიდა სტაჟირებაზე კურსდამთავრებულ მოსწავლეებს ლენინგრადსა თუ მოსკოვში. მ. ბაური გაგზავნა მარინინის თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ტექნიკუმში. იქ იგი მოხვდა სოლისტთა დახელოვნების მ. ფ. რომანოვა- ულანოვას (სსრკ სახალხო არტისტის გალინა ულანოვას დედის) კლასში. მოცეკვავის საშემსრულებლო მანერას, მ. პერინისგან მემკვიდრეობით მიღებულ იტალიური სკოლის ნიშანთვისებებს რუსული სიმპერატორო თეატრისათვის დამახასიათებელი სტილის სიმკაცრე, აკადემიზმი დაემატა. შემდგომში ეს თვისება — ცეკვის შინაარსის თეატრალური სინახამრივი სიმსუყეთ, დახვეწილ საცეკვაო ფორმაში გამოხატვა — მ. ბაურის სასცენო ხელოვნების დამახასიათებელ ნიშნად იქცა. მისი თვითმეოფი არტისტიზმი იმდენად ხიბლავდა ტექნიკუმის პედაგოგიურ პერსონალს, რომ ისინი ყოველთვის სიამოვნებით ამზადებდნენ მას საანგარიშო საღამოებზე გამოსასვლელად. მ. ბაურს ყურადღება მიაქცია აგრეთვე მარინის თეატრის ცნობილმა ბალეტმაისტერმა ა. ჩეკრიგინმა, რომელმაც ერთი ასეთი საღამოსათვის საგანგებოდ შეუთხზა მოცეკვავეს ესპანური კოლორიტით აღსავსე მხიარული სანახაობრივი სალალეტო ნომერი „ერთი დღე ტოლედოში“ (რ. დრიგოს „არლეკინადას“ მუსიკაზე). დიდმა წარმატებამ და ალიარებამ ისიც განსაზღვრა, რომ გამოსაშვები საღამოსათვის კურსდამთავრებულ მუსლმანთა მიანდეს სვანილდას (ლ. დელიბის „კოპელია“) და მაშას (პ. ჩაიკოვსკის „შჩელკუნჩიკი“) წამყვანი როლები.

1930 წელს მ. ბაური დაუბრუნდა მშობლიური ოპერის თეატრს. სწორედ ამ ხანებში დაიდგა ცაპუნის ბალეტი „კუზიანი კვიცი“, სადაც მან შეასრულა მზეთუნახავი დედოფლის პარტია. ეს იყო მოჩაჯადოებელი, სიცოცხლით სავსე, წარმტაცი პერსონაჟი. შემდგომში მ. ბაური გალეიულ, სიცოცხლეზე შეყვარებულ ადამიანთა ხასიათებს ძერწავდა. ასეთნი იყვნენ მედეა (ა. ადანის „მეკობრე“), ინდორა (ბ. იანკოვსკის „ფერენჯი“). დაუვიწყარია მისი თავისუფლებისმოყვარე ტაო-ხოა (რ. გლიერის „წითელი ყაყაჩო“), გულსაღიდი, ამაყი ზარემა (ბ. ასაფიევის „ბახჩისარაის შადრევანი“). ლირიკული ოდალეს ნატიფი ქორეოგრაფიული სახე შექმნა მან პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბაში“.

ფეხის ტრაგმის გამო მ. ბაური კლასიკური რეპერტუარიდან სახასიათო ქორეოგრაფიაზე გადავიდა. აქ კი მის ფანტაზიას და ტემპერამენტს საზღვარი არ ჰქონდა. ნიჭიერმა მოცეკვავემ მცირე ქორეოგრაფიაშიც მასშტაბური მხატვრული სახეები შექმნა. ყოველი სეზონის რეპერტუარის (ასეთი სეზონები კი მის სასცენო მოღვაწეობაში 60-მდე აღწევს) მას ეგზოტიკური აღმოსავლეთის, ინდური თუ ესპანური ცეკვების მრავალსახეობის სოლო ფრაგმენტები აქვს შესრულებული.

1941 წლიდან სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანის თბილისის ოპერის თეატრში მთავარ ბალეტმაისტერად მოსვლის შემდეგ კვლავ გაიბრწყინა მარიამ ბაურის გარდასახვის ნიჭმა. სახელდობრივ, ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ შექმნილ ფილმში „ქართველი ბალეტის ოსტატები“ ჩვენს ახალგაზრდობას შემორჩა პოპულარული მოცეკვავის მოკაჟე სახე შირვანის ცეკვასა (გ. კილაძის „სინათლე“) და ესპანურში (ა. კრეინის „ლაურენსია“), რომლებშიც ასე კარგად ჩანს ბაურის არაჩვეულებრივი თვისება — საზეიმო სწრაფვა ავანსცენაკენ.

მსახიობი მოცეკვავის პორტრეტი არ იქნება სრული, თუ არ შევეხებით მის ფართო საკონცერტო მოღვაწეობას. მ. ბაურის ყოველ საესტრადო ნომერს ჰქონდა დასრულებული მხატვრული ნოველის ფორმა, განვითარების დინამიკა. მახსოვს იგი ი. არბატოვის მიერ დადგმულ სომხურ ცეკვაში „ჩობანის“ სახელწოდებით. ბაური გამოდიოდა მოკლე, ოდნავ ტოტებმოცვეთილი შარვლით, თავისუფალი გლეხური პერანგით, ხელში კეტი ეჭირა. თავზე კი უშველებელი მწყემსური „ბოხობა“ ჭუდი ეხურა. ამ ნომრის შესავალ ნაწილში მწყემსური იდილიის, ბუნების წიაღში ნეტარების განწყობილება ოგრძნობოდა, შემდეგ კი ცხვრის ფარაში მგლის გამოჩენის შეშფოთება და ცეკვით გამოხატული „ოერაში“ სწრაფი, მკვეთრი ხასიათის ალეგროთი მთავრდებოდა.

ერთ ხანს მ. ბაური პედაგოგად მუშაობდა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, რესპუბლიკის სახალხო არტისტის დავით ჯავრიშვილის დირიჟორად ყოფნის დროს. მისი ყოფილი მოწაფეები დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებენ მარიამ ბაურს. ისინი ხალისით მეცადინეობდნენ მის კლასში, რადგან თვითონაც ცეკვით აჩვენებდა სავარჯიშო მოძრაობებს, ილეთებს, უღვიძებდა არტისტიზმის გრძნობას.

ამჟამად მ. ბაური თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სალალეტო დასის სოლისტთა ჯგუფის პედაგოგი-რეპეტიტორია. ყველა მოცეკვავე, ვინც კი ამზადებს წამყვან პარტიას, უეჭველად მეცადინეობს და ხვეწავს თავის ოსტატობას ღაწლმოსილ მოცეკვავესთან. ამიტომაც არის ასეთი უბერებელი ბალერინა, ამტომაც მიემართება ხალისით თეატრისაკენ, სადაც ახალგაზრდებთან მუშაობის შემოქმედების ატმოსფეროში, არტისტული ცხოვრების ამ მუდმივ განახლების პროცესში პოულობს სიცოცხლის წყაროს.

ნონა ᲒᲣᲜᲘᲐ,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

სურათებზე: მარიამ ბაური; მარიამ ბაური კარმენის როლში.

დაჭირება და თანადგომა...

„სამხმიანი მესა“ ს. შაუმიანის სახელობის თეატრის სცენაზე

ᲘᲛ ღამეს საქართველო კვლავ „ყვავილებითა და სანთლებით“ დასტიროდა თავის უდროოდ დაღუპულ შვილებს... იმ ღამეს თბილისის სომხურ თეატრში ასრულებდნენ დრამატულ რეკვიემს, მიძღვნილს უდანაშაულოდ დაღუპულებისადმი.

ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, რომლის ავტორები არიან თეატრის მთავარი რეჟისორი მ. გრიგორიანი და ა. ასრატიანი, დეკემბრის უმძიმეს დღეებში, სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ შეიქმნა. იგი იქცა გოდებად, დატირებად... 24 აპრილს კი თანამემამულეთა დატირებას სომეხმა მსახიობებმა 9 აპრილს დაღუპულ ქართველთა დატირებაც შეუერთეს...

ერთ მოქმედებაში, ერთი ამოსუნთქვით შექმნილ ტრაგიკულ წარმოსახვაში რესპუბლიკის დამსახურებულმა მოღვაწემ მ. გრიგორიანმა ადამიანის გაუნელებელი სულიერი ტკივილი ჩააქსოვა; საღამო თითქოს იმპროვიზაციულ ხასიათს ატარებს, ტექსტი, რომელსაც თვალჩამჭრალი, მწუხარებით სავსე მსახიობები კითხულობენ, სომეხ კლასიკოსთა ნაწარმოებების მიხედვითაა შექმნილი...

დაღუპულთა სულებისადმი მიძღვნილი ეს რეკვიემი სამი ნაწილისაგან შედგება — „მესა“ („რეკვიემი“), „პროტესტი“ და „მომავლის დიდება“...

...სომეხთა და ქართველთა ბედუკეთილმარი ისტორია ერთნაირია, მწუხარებაც საერთო გვაქვს. XX საუკუნე სამოცდათოთხმეტი წლის წინათ სომეხთა საშინელი ხოცვა-ჟლეტით დაიწყო. 1915 წ. მოკვდინეს ორი მილიონი სომეხი — ბავშვი და ქალი, მოხუცები და ვაჟკაცები. თავზარდაცემული ხალხი გაიფანტა მთელ მსოფლიოში და თან, ერთ პეშვ მშობლიურ მიწასთან ერთად, როგორც იმედი მომავლისა, სამშობლოში დაბრუნებისა, თან წაიღო დიდი განმანათლებლის მესროპ მაშტოცისეული ლოცვა... გავიდა დრო, თითქოს ჭრილობებმა დაიწყეს მოშუშება და ისევ ტრაგედიები — ეროვნული უთანხმოება, შემზარავი მიწისძვრა... და ჩვენი სისხლიანი აპრილი... ამ თვეს გლოვობს პოეტი სილვა კაპუტიკიანი, რომელიც ერთ-ერთ ლექსში ცრემლნარევი იკითხავს: — შენ, სინათლისა და ჯანმრთელობის თვეო, აპრილო, რათ გადგეიქეც სიკვდილისა და უბედურების თვედ?!

ვაი, რომ უკუღმართმა ბედმა ქართველებს ესეც არ აკმარა და აპარის ტრაგედიით შეძრა მათი სული... ქვადქცეული კაცი სცენაზე თითქმის ქვითინებს, ხმა მისი ხან ძლიერდება, ხან ნელდება, სანთლები კი მწუხარედ კიაფობენ... სცენაზე აღიმართებიან შაოსან ქალთა და ვაჟთა ლანდები. სხვადასხვა კუთხეში განლაგებული მსახიობები: ს. შეკოიანი, ვ. ტარზიანი, მ. ბარსელიანი, პ. ყაზარიანი, რ. მათიაშვილი, მ. საფარიანი მწუხარედ კითხულობენ სომეხი ჰოეტების პ. სევაკის (წარმოდგენა დასთაყვარებულია მისი პოემის სახელით — „სამშობიარო მესა“), მ. ისაკიანის, ოვ. შირაზის, ვ. დავთიანის, ა. საფარიანის ლექსებს. შემსრულებლები ადგილს იცვლიან, შიგადაშიგ კი ყოერს ორღანი — ბახისა და ვივალდის მწუხარე მელოდიები, კომიტასის მესა, მ. ბექმალიანის მუსიკა. მოსთქვამს გუნდი, ტირიან დუდუკები...

გვერდით მიზის ლამარა ბერაძე, წარმოშობით სომეხი ქალი. მას ქმარი ქართველი ჰყავს, შვილებსაც ქართულ სკოლაში ზრდის, ზის და მითარგმნის სომეხი პოეტების ლექსებს. ამაშიც, ამ სომეხ-ქართველი ქალის მწუხარე ხმაშიც არის რაღაც სიმბოლური...

...მიწა იქცა ადამიანებისათვის ერთ დიდ საფლავად, მიწისძვრამ კუბოც არ აღირსა მათ... სომეხები, ისევე როგორც ქართველი ძმები, თვით იქცნენ დაღუპულთათვის ხსოვნის სამარედ... მაგრამ განა შეიძლება მოპკლა ხალხი? ერი? იმედის მელოდია ძლიერდება. სცენაზე, ტატრენანთან, ეროვნული ტახსაკრძალვი გამოწყობილი მოხუცი მახდილოსანი (მსახიობი ა. კარაკიანი) გამოჩნდება, სრულდება პატარა სცენა ქ. ორუთუნიანის პიესიდან „მოციმციმე სანთელი“. მოხუცი ქალი დაზიქელ შვილიშვილს ცრემლნარევი ხმით შეაგონებს, რომ მათ თავის მიწაზე უნდა გაიდგან ფესვები. როგორც სიცოცხლის გაგრძელების ესტაფეტას, მწუხარე ქალი — სიმბოლო სომხეთისა, ერთგულების ფიცად შვილიშვილს გადასცემს ძველ, მაშტოცისეულ სახარებას... ეს საღამოს კულმინაციაა. რადგან სიცოცხლემ, იმედმა უნდა გაიმარჯვოს.

ა. შაუმიანის სახელობის თეატრის კოლექტივმა გადაწყვიტა თავისი მწუხარება შეიუერთოს ქართველ მომმეთა მწუხარებას და „სამხმიან მესას“ შემატოს ქართველთა ტრაგედიაც, ჩვენი მსახიობების მონაწილეობით, ქართული მუსიკით, ქართული ლექსით და ეს საღამო უძღვნას დაღუპულ სომეხ და ქართველ თანამოძმეებს, საღამოს შემოსავალი კი გადაურიცხოს აპარაში უსახლკაროდ დარჩენილთ.

ალბათ, ძმობა და თანადგომაც ამას ჰქვია...

ᲜᲐᲓᲘᲐ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

სადისკუსიო კლუბმა განაახლა მუშაობა

9 Ა�პᲠᲘᲚᲘ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო შეწყვეტილ მუშაობას ანახლებს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან დაარსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სადისკუსიო კლუბი. მორიგი შეხვედრის თემა, რომელიც 17 მაისს საზოგადოების დიდ დარბაზში გაიმართება იქნება „1918 წლის 26 მაისი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“. მოხსენებას გააკეთებს საქართველოს სარმეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აკაკი სურგულაძე. დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. შემოსავალი გადაირიცხება აპარაში სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

18 მაისს გაიმართება კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება — გურამ რჩეულიშვილის ხსოვნის საღამო. მასში მონაწილეობას მიიღებენ მწერლის ახლობლები, მეგობრები, პოეტები, მსახიობები. საღამოს გაუძღვება გურამ რჩეულიშვილის მეგობარი, ავტორი მასზე დაწერილი წიგნისა, პოეტი და კრიტიკოსი ნუგზარ წერეთელი. ნაჩვენები იქნება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების მოტივების მიხედვით რეჟისორ ნ. მახარაძის მიერ შექმნილი მხატვრული ფილმი „გზაფხული გადის“. ამ საღამოს შემოსავალი გადაირიცხება 9 აპრილის ფონდში. (საკინოშორმი).

ᲒᲣᲚᲓᲝᲖᲔᲠᲘ... ᲓᲘᲜᲝᲖᲐᲕᲠᲗᲐ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ?!

ᲫᲣᲗᲐᲘᲡ-ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ რეგიონში თავეოყრილ ბუნების უნიკალურ ძეგლთა ბაზაზე შეიქმნა (1935 წელს) სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი. მისი ფუნქცია ბუნების ქმნილებათა დაცვა და შესწავლა იყო იმთავითვე.

გავიდა დრო.. 50-იან წლებში მომნიფდა კიდეც სათაფლიის ბუნების ძეგლთა ტურისტულ-საექსკურსიო დათვალიერების ობიექტად გამოყენების საკითხი. ამან კი ნაკრძალის კეთილმოწყობა და საექსპლოატაციოდ მომზადება განაპირობა. შეძლებისდაგვარად, მართალია, პრიმიტიულად, მაგრამ მაინც მოწესრიგდა მღვიმე, გაუკეთდა შესასვლელი კარი, 120 მეტრზე სავალი ბილიკი და განათება. რაც მთავარია, შემოიღობა მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი — ეაცობრიობისგან დღემდე მიკვლეულთა შორის თითქმის ყველაზე უკეთ შემონახული დინოზავრის ნაკვალევი, — რათა მიმსვლელ-მომსვლელთა სიარულისას არ წაშლილიყო. მაშინ სათაფლიას პატრონიც ჰყავდა, თუმცა ერთი მაგრამ ისეთი, როგორიც პეტრე ჭაბუკიანი იყო. იგი მზრუნველად დაპკანკალებდა ყოველივეს. პირადადაც შეესწრებოდა ვართ, როგორ წმენდდა ფუნჯით დინოზავრის ნაკვალევს.

მაგრამ ის დრო წავიდა. პეტრე დიდი ხანია აღარ არის.. ბევრჯერ ითქვა, ნაკვალევი ზიანდება, ირეცხება, და თუ დროზე არ გადავხურთ, სამუდამოდ გაგვიქრება თვალსა და ხელს შუაო! თავდაპირველი პროექტით ნაკვალევი მიწით მოზვინეს, მაგრამ ამგვარი კონსერვაცია. საიმედო არ გამოდგა. თურმე მიწა, რომელითაც იგი დაფარეს, ქიმიურად შეუსწავლელი ყოფილა. (!). ისევ გასაზიდი შეიქმნა ასობით კუბური მეტრი მიწა. ეს სამუშაო ხელით უნდა შესრულებულიყო, მაგრამ... რა დროს მამაპაპური ბარ-ნიჩაბიაო და, ზედ ნაკვალევზე გადაატარ-გადმოატარეს ბულდოზერები თუ თვითმცლელი ავტომანქანები.

ამგვარი „შრომატევადი სამუშაო“ რომ გასრულდა, ძეგლი ხომ უნდა გადახურულიყო! ამისთვის პრაქტიკულად არავინ გარჯილა. ისე კი ამ საკითხზე იმდენ უწყებრივ მიმოწერას ნახავთ, მართლა ის ქაღალდი გადახურავდა იქაურობას!..

თანახმად რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 23 თებერვლის № 10. გადაწყვეტილებისა, ჯერ კულტურის სამინისტროსთან, შემდეგ კი დამოუკიდებლად შეიქმნა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, რომელსაც დაუქვემდებარეს საქართველოში არსებული ბუნების ყველა ძეგლი, მათ შორის სათაფლიის მღვიმეებიც.

ამასთან, მიიღეს მცდარი გადაწყვეტილება სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე მეორე დირექციის („სათაფლიის მღვიმეთა კომპლექსის ნაკრძალი“) ჩამოყალიბების თაობაზე. მაშასადამე, ნაკრძალში ნაკრძალი უნდა შექმნილიყო! სამწუხაროდ, ასეც მოხდა— გაჩნდა დამატებითი ადმინისტრაცია შესაბამისი შტატებით, მაგრამ ძეგლი კვლავ უპატრონოდ დარჩა.

შარშან ზაფხულში, სათაფლიის მღვიმეთა კომპლექსის დირექცია გაუქმდა და წყალტუბოს საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს დაუქვემდებარდა. შემოდგომაზე კი ნაკრძალის ადმინისტრაციას ხობის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში მიუჩინეს ბინა (!).

ახლა ვის ეკუთვნის ეს ძეგლიო, იკითხავთ, ალბათ.

იგი ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს გადაულოცავ ძეგლთა დაცვის სამმართველომ. ახალმა პატრონმა მხოლოდ შემოსავალზე იზრუნა — დამთვალიერებელთა რაოდენობა გაზარდა და სხვა ყველა საზრუნავისგან ხელი დაიბანა.

ჩვენ თავმოყვარეობა ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი, მოუწესრიგებელ სახლში სტუმრის მოპატიჟებაც კი გვერცხვინება. მაგრამ განა ნაკლებ საჩოთიროა შენი უგერგილობის, შენივ წარსულისადმი უდიერი მოპყრობის სააშკარაოდ დემონსტრირება! აბა, სხვა რა უნდა თქვა სათაფლიის მაგალითზე?! ჩვენივ უთაურობით, ვერ იქნა და ვერ მოვუარეთ ამ ღვთით ბოძებულ განძს, ჩავაოხრეთ, გავაპარტახეთ, ბულდოზერებითა და თვითმცლელი ავტომანქანებით ვთელეთ პეტრე ჭაბუკიანის ფუნჯით ნაფერები. და ახლა, შინაურსა თუ გარეშეს ხელგაშლილნი ვეპატიჟებით, მობრძანდით, ნახეთ, რა განძის პატრონები ვართო! სამწუხაროდ, დამთვალიერებელი კი მოდის, მაგრამ რა შთაბეჭდილებით ტოვებს იქაურობას?...

თუ თავმოყვარეობაა, დროებით მაინც უნდა დავხუროთ სათაფლია, ვიდრე მეტ-ნაკლებად არ მოვაწესრიგებთ იქაურობას.

თორემ სათაფლიის პირველადმომჩენის — პეტრე ჭაბუკიანის დაბადების 100 წლისთავს, წლეულს რომ სრულდება, პირნათელი ვერ შეეხვდებით!

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ,
კოლხეთის სათაფლიის ნაკრძალის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი:

ᲔᲜᲒᲘᲩᲐᲠ ᲑᲣᲮᲐᲘᲫᲔ,
ექსკურსიამძღოლი.

ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲔ



● ᲯᲔᲚᲡᲘᲜᲯᲘᲓᲐᲜ ᲝᲩᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲜᲔ: ᲙᲝᲑᲐ ᲙᲣᲠᲗᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲗᲝᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲘᲗ — ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲜᲔᲫᲔ.

ᲯᲔᲚᲡᲘᲜᲯᲘᲨᲘ დამთავრებულ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე შვიდი საბჭოთა სპორტსმენი დაეუფლა ამა თუ იმ ღირებულების მედალს. მათგან სამ ჯილდოს დაეპატრონენ ქართველი ათლეტები: ზედიზედ მეორედ დაეუფლა ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალს სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის პრიზიორები, თბილისელი ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ-მდე წონითი კატეგორია). ფინალში მან პეტერ სიდიკაკი (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა და გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ასევე ოქროს მედალი მიიღო ჯილდოდ გორელმა კობა კურტანიძემ (95 კგ-მდე). რაც შეეხება მის თანაქალაქელ გიორგი თენეძეს (71 კგ-მდე), მან შეჯიბრების მეორე წრეში წაგების შემდეგ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, ტოლი არ დაუდო მეტოქეებს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. როგორც ხედავთ, საბჭოთა ნაკრების სამივე წევრმა ქართველმა ძიუდოისტმა შთამბეჭდავად იჭიდავა და ახლა ისიც დაგვრჩენია, რომ მათ ეს წარმატება მივულოცოთ.

ახლა კი გაგაცნობთ იმ დანარჩენ საბჭოთა სპორტსმენთა ვინაობას, რომელთაც სხვადასხვა დონის წარმატებები მოიპოვეს ჯელსინკის ტატამზე: ოქროს მედლით დაჯილდოვდა გროზნოელი ბაშირ ვარაევი (78 კგ-მდე), ვერცხლის მედლებით — მინუსინსკელი სერგი კოსმინინი (65 კგ-მდე) და მოსკოველი ვიტალი ბუდიუკინი (86 კგ-მდე). ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა კუიბიშეველი სერგი კოსოროტოვი (აბსოლუტური კატეგორია). რაც შეეხება ჩელიაბინსკელ გრიგოლ ვერიჩევს (95 კგ-ზე მძიმე წონა), იგი პრიზიორთა მიღმა დარჩა.

ჯელსინკსში იასპარეზეს ძიუდოისტმა ქალებმაც. საბჭოთა სპორტსმენთაგან მხოლოდ ერთმა — ლენინგრადელმა ელენა გუშჩინამ შესძლო საპრიზო ადგილზე გამოსვლა. იგი აბსოლუტურ კატეგორიაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

სურათებზე: ოქროს მედლების მფლობელები კობა კურტანიძე და ამირან ტოტიკაშვილი, ბრინჯაოს მედლით დაჯილდოებული გიორგი თენეძე.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲐᲖᲔ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეათე ტურის მატჩი თბილისის „დინამომ“ ერევანში გამართა ადგილობრივ „არარატთან“. ამ ძველი სპორტული მეტოქეების მატჩი ფრედ დასრულდა — 0:0.

ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ფეხბურთის ნამდვილ ქომაგებს რომ მოეთხოვებათ, ისეთი კეთილმოსურნეობა გამოიჩინეს ორივე კოლექტივის წევრების მიმართ. ფეხბურთელთა მიერ ცალკეულ მომენტებში დაზვიწლილ ოსტატობის გამოვლენასს გულშემატკივრები ორივე მხარეს გამამხნევებელი შეძახილებით თანადგომას უცხადებდნენ.

ამ ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: მოსკოვის „დინამო“-„ამირი“ — 0:0, „სპარტაკი“-„შახტიორი“ — 1:0, „ჩერნოზემორეცი“-„დნეპრი“ — 1:1, მინსკის „დინამო“-„ყაზგორისი“— 2:0, „ტორპედო“-„მეტალისტი“— 1:0. ამ ტურის კიდევ ერთი მატჩი გუშინ გაზეთის დასტამბვის შემდეგ დამთავრდა. ერთმანეთს ხვდებოდნენ კიევის „დინამო“ და „ლოკომოტივი“.

ᲒᲗᲐᲕᲐᲮᲝᲑᲗ პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის ერთი მატჩის შედეგს: ბათუმის „დინამომ“ უმასპინძლა ქუთაისის „ტორპედოს“ და იგი დაამარცხა ანგარიშით 2:1.

რედაქტორი
Ნ. ᲩᲘᲠᲫᲔᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

1989 ᲬᲚᲘᲡ 16-18 მაისს საკავშირო მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს მომარაგების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ატარებს მანქანათმშენებლობის პროდუქციის, გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა და საწარმოო ნარჩენების საკავშირო გამოფენა-ბაზრობას.

ᲕᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ:

ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და მოქალაქეებს, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას.

ბაზრობა ტარდება საქართველოს სახელმწიფო მომარაგების კომიტეტის კომერციული ცენტრის გამოფენის შენობაში მისამართით: ქ. თბილისი(ვარკეთილი 3) გახოკიძის ქ. № 165.

ბაზრობა მუშაობს 10 საათიდან 18 საათამდე.

ცნობებისათვის ისარგებლეთ ტელეფონებით: 37-54-87, 38-07-28, 73-39-49, 73-54-22.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ: 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია. 13.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღვინის ქურდები“. 14.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი“. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება. 16.25 — შეუისწავლთ ინგლისური ენა. 16.55 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (გამეორება). 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.10 — ხალხური შემოქმედება — „ყველა ვარდები ზედ დავაქსოვე“. 18.25 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 18.45 — განცხადებები. 18.50 — გარდაქმნის ნახნაგები. 19.05 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ჩვენი თანამემამულენი უცხოეთში“ — ხუნდაძეები. 21.00 — სატელევიზიო კომპოზიცია „ცხოვრება და სიკვდილი დიმიტრი ყიფიანისა“, I ნაწილი. 22.00 — ვრემია (მ). 22.50 — სატელევიზიო კომპოზიცია „ცხოვრება და სიკვდილი დიმიტრი ყიფიანისა“ — II ნაწილი.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ: 9.35 — ს. პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ — საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრის სპექტაკლი (მ). 12.10 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა. 12.40 — დოკუმენტური ფილმი „მორევი“. 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია. 13.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღვინის ქურდები“. 14.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 14.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეატრი, სურათი, ფრესკა“. 14.50 — მოსწავლეთათვის — საზოგადოებათმცოდნეობა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — ს. პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“. 12.10 — ბავშვის საათი. 13.10; 16.30 და 18.45 — ახალი ამბები. 13.20 — „ე